

18 K 17979
19

გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიის გამოცემა,

პირველ—დაწყებითი

ქართული

ბ რ ა მ მ ბ ტ ი ბ ა

დპ. K1757996730
19
მ. 3, 2016-2016.



შეღებნილი

სტამბა გრ. ჩარკვიანისა, ქუთაისი

ტფილისი

სტამბა გრ. ჩარკვიანისა, || ТИПОГ. Ф. ЧАРКВИАН.



811.3537 36

1888

1888

Дозволено Цензурою, Тифлисъ. 20 Апрелья 1888 года.

წინასიტყვაობა.

დიდი ხანია, ჩაც განვიზრახეთ, ისეთი რამ სახელ-
მძღვანელო გამოგვეცა გრამატიკითგან, რომელიც თა-
ნამედროვე მოთხოვნილებასთან შევარდებულ იყოფი-
ლიყო, მაგრამ, საუბედუროდ ჩვენდა, სხვა-და-სხვა გა-
რემოების გამო, დღემდის ეს ჩვენი სურვილი შეუძლე-
ბელი შეიქმნა. დღეს ასეა, თუ ისე, როგორც იქნა,
ჩვენი სანგრძლივი წადილი შესრულდა. სანატრელია მხო-
ლოდ, ჩვენს ნატურას სარგებლობაც რამ მოჭეკეს. თუ
ჩამდენად ძნელია ქართულ ენის გრამმატიკულ განხე-
ბის შესწავლა, განსაკუთრებით ჩვენს გარემოებაში, ეს
ყველა შეგნებულ კაცისთვის ცხადია. მართალია, ჩვენ
გვაქვს ბევრი გრამმატიკები, მაგრამ, ჩვენი აზრით,
არც ერთი მათგანი არ აკმაყოფილებს თანამედროვე მო-
თხოვნილებას, მით უმეტეს, რომ დღითიდღე თანდა-
თან ცვლილებაში და წარმატებაში შედის სწავლის სა-
ქმე და ისინი-კი უკან ჩამორჩენილნი შეიქმნენ: ძველი
გრამმატიკები ან მიბაძვით არიან შედგენილნი ან და,
ცოტაოდენად მაინც, მოკლებულნი იმ ნაწილს, რომე-
ლიც თითქმის უმთავრესია გრამმატიკაში. ჩვენ ვამბობთ
სინტაქსზედ. ჩამდენადაც ვიცით და შეგვისწავლია ქარ-
თული გრამმატიკული მწერლობა, არც ერთს მათგანში

არ შეესკვდრივართ ვრცელს სინტაქსს. ქვემდებარე, შესმენილი, განმარტება, დამატება და გათავდა.

აი, ამ გარემოებამ, და იქნება სხვადასხვა, გამოგვიწვია ისეთი სასულძვანელო შეგვედგინა, რომელშიაც ერთს და იმავე დროს სამშობლო ენის განონებიც ყოფილიყო შემოკრებილი და თან, მისის შემწეობით, სხვა ენის განონების შესწავლაც გაადვილდებოდა მოზარდ თავობას.—თუ კი ამ შირობას დააკმაყოფილებს ეს სასულძვანელო, ჩვენი ნუგეშიც ეს იქნება. მსოფლოდ საქმე იმაშია თუ, როგორ უნდა იხმაროს მასწავლებელმა ეს წიგნი. თუ ბევრებურს წესს მიჭყვას და «აქედგან აქამდის» გაგვეთილებად დაუნიშნა, როგორც ჩვენი მასწავლებლები იქცოდნენ, რასაკვირველია, მაშინ უმაწვილი ზეშინად დაიწეებს სწავლას და იმ შემთხვევაში მიზანს მარტო მესხნიურად მიაღწევს. მაგრამ, თუ კი იმ წესს მიჭყვება, რომელიც ჩვენ ამ გრამმატიკაში გვაქვს მოყვანილი, უეჭველია, სასულძვანელოს შეუძლიან, ჩვენის ჭზრით, ცოტა, რამ სარგებლობა მაინც მოუტანოს მოსწავლეებს. გრამმატიკის შესწავლების დროს, მასწავლებლის პირველი და უმთავრესი მოვალეობაა, ყოველი განონი, რომელიც კი ამ სასულძვანელოშია მოყვანილი, პრაქტიულად მაგალითებიდგან გააცნოს მოსწავლეს. რადესაც რომელიმე განონი მაგალითებითგან შეისწავლება, მსოფლოდ მაშინ შეუძლიან მასწავლებელს, თვით სასულძვანელოთგან ამოაკითხოს მაგალითები და განონები.—ხშირად თვითონ მოსწავლეს გამოჭყვავს განონი ბჭვენის კითხვების შემწეობით,

III

მაგრამ გრამმატიკულ ტერმინების სახელს ვერ იძლევა, —
ეგ ასეც უნდა იყოს და ამან მასწავლებელი არც კი უნ-
და შეაშინოს, — ტერმინები თვითონ უნდა უთხრას, —
მაგ. როდესაც ჩვენ ვუხსნით მოსწავლეს თუ, რა არის
საგანი, ჩვენ სახეში ის გვაქვს თუ, როგორ მიად-
წიოს მოსწავლემ იქამდის, რომ, რასაც სედავს ან გონ-
ებაში წარმოიდგენს, თქვენის შემწეობით, ყველას იმას
საგანი დაარქვას. თუ კი მოსწავლე დასახელებს ყვე-
ლაფერს, რასაც სედავს კლასის ოთახში, ეზოში და,
მის შემდეგ, ცაში და მერე, თქვენისვე ვითხვების შემ-
წეობით, იმასაც თუ, რასაც ვერ სედავს, ან არ შეუ-
ძლიან შესედოს, — მაგ. სულს, ანგელოზს და სს.,
მაშინ თქვენთვის მხოლოდ ერთი-ღა დარჩენილა უთხრათ:
რასაც ჩვენ ვსედავთ, ან გონებაში წარმო-
ვიდგენთ, არის საგანი.

აი, ამგვარი დანიშნულება აქვს ამ სახელმძღვა-
ნელოს და მხოლოდ ამ შემთხვევაში ვურჩევთ მასწავ-
ლებელს ხელში აიღოს ეს წიგნი. მაშასადამე, ეს სა-
ხელმძღვანელო მხოლოდ იმისთვის არის დაწერილი,
რომ კლასში შესწავლილი კანონები ამ «კონსპექ-
ტით» უფრო მტკიცედ აღებეჭდოს მოსწავლეს გონე-
ბაში.

ამ წესით შესწავლას ვიდეკ ის უპირატესობა აქვს,
რომ მოსწავლას გონება მუდამ ვარჯიშობაშია გარ-
თული და მეხსიერება არ ეღალბება. ამასთანავე ისიც ნუ
ხუ დაგვაპიწყდება, რომ ბოკშის ბუნება იმდენად ნორ-

ჩიან და, მასხადაძე, გასდული არ არის, რომ განუყნებოთ საგნებზედ ჭარბი რამ შეადგინოს: იმას უნდა დაუწყოს საუბარი იმ საგანზედ, რომელიც მის გონებისთან ასლან და შემდეგ, როდესაც უმაწვილი ამ ასპარეზზედ გზას მტკიცედ გაირკვევს, თანდათან შორეულ საგნებისკენ გაიწიოს და ბოლოს, თქვენისკე კითხვების შემწეობით, დასკვნა მასვე გამოაყვანინოს.

ესლა შეუდგეთ იმ გზას თუ, როგორ უნდა შესწავლოს მასწავლებელმა გრამმატიკა მოხარულ თავი-ბას ამ სახელმძღვანელოთი.

როდესაც მოსწავლეები გარკვევით გაიგებენ თუ, რა არის საგანი, მასწავლებელი მისცემს მათ საწყევს, რომ თვითოეულმა მათგანმა მოითუქროს: რამ იმ საგანზედ, რომელიც მას ბლოზად უნდა ქონდეს დაწერილი დათვანდ; ამისთვის მასწავლებელმა მოსათუქრებელი დროც უნდა მისცეს მოსწავლეებს. რაკი შეატყობს, მზად არიან, ამ გვარ კითხვას მისცემს: ვინ მოითუქრას ამ საგანზედ? და მაშინვე ხელი უნდა დაადვას იმ მაგალითს, რომელიც პირველ მაგალითად ქსწერიან დათვანდ. გინც აიშუერს ხელს, იმას წარმოთქმეკინებს, ამგვარ წესს იხმარს ყველა მაგალითებზედ: ამას განამეორებინებს სათვითოოდ ყველას და შემდეგ წაშლის დათვანდ დაწერილს მაგალითებს და ეტუვის მოსწავლეებს თვითონ მოითუქროს საგანიც და რამე საგანზედ. როდესაც ამ კარჯიშობაში კარგად გაიწრთვნებიან მოსწავლეები, მასწავლებელი ეტუვის, რომ წარ-

მოთქმული ჭაზრი არის წინადადება და, თუ საგან-
 სედ მოვიფიქრებთ რასმე, მაგრამ არ წარმოვსთქვამთ,
 მაშინ იქნება ჭაზრი. რაკი ამ ვარჯიშობაში წელს გა-
 მართავს მოსწავლე, მასწავლებელი წიგნიდანაც ამოა-
 კითხებს წინადადების მაგალითებს. აქ მოსწავლე მასწავ-
 ლებლის კითხვებიდგანვე შეიგნებს, რომ წინადადება
 დაწერილიც შეიძლება იყოს და არა მარტო ზეპირად
 წარმოთქმული. ამის შემდეგ მასწავლებელი აუხსნის მოს-
 წავლეებს, რომ წინადადება შეიძლება იყოს დაწერილი
 ქვავად, ფიტარავად, ტყავად, მიწავად და სხვა.

როდესაც ყველა ეს შემთხვევა მოსწავლეებს ახ-
 სნილი აქვსთ, საჭიროა, მასწავლებელმა დასკვნაც მის-
 ტეს; ამიტომ ერთსულ კიდევ განამოცრებიანებს მოსწავ-
 ლეებს წინადადების ყველა შემთხვევას და მერე თვითონ
 ეტყვის: წინადადება არის ჭაზრი, წარმო-
 თქმული სიტყვებით ზეპირად ან დაწერი-
 ლი რაზედმე.—ამხედ უნდა შედგეს მასწავლებელი
 და დიდხანს ვარჯიშოს მოსწავლეები, რომ საგანი, ჭა-
 ზრი და წინადადება მოსწავლეებმა პრაქტიულად მტკი-
 ცედ შეითვისონ. სწავლების დროს ყველანედ უმთავრე-
 სი პირობა ის არის, მასწავლებელი არ აჩქარდეს და
 ბევრის დასწავლება არ მოინდომოს უდროოდ, თორემ
 საქმე ჩაიშლება. შეიძლება ექვსს, შვიდს გაკვეთილზე-
 დაც შეისწავლონ მოსწავლეებმა საგანი, ჭაზრი წი-
 ნადადება და, შეიძლება, ათი, თორმეტი გაკვეთილიც
 დასჭირდეს, მაგრამ მასწავლებელი ამან არ უნდა შეაში-

ნოს, იმას ის უნდა ჰქონდეს სასეში, ხელის და და-
დინჯებულის ნაბიჯით მიდიოდეს წინ, ვინემ დიდი მან-
ძილი გაიაროს და საქმე შეზღუდვებულად დარჩეს. ვარ-
ჯიშობის დროს მასწავლებელს, როგორც სასელმძღვა-
ნელთა, მოკლე წინადადება უნდა ჰქონდეს სასეში.

რაკი მოსწავლემ ს'აგანი, ჰაზრი და წინადა-
დება შეითვისა, მასწავლებელი დაფასედ დაჭსწერს რამ-
დენიმე მოკლე წინადადებას და მიუბრუნდება მასწავლე-
ბელს შემდგომის კითხვით: რაზედ არის ლაპარაკი
ამ წინადადებაში? მოსწავლეები, რასაკვირველია,
მიუგებენ თუ, რაზედაც არის ლაპარაკი აღნიშნულ წი-
ნადადებაში. ამ პასუხს მასწავლებელი განამოკლებინებს
სსკებს იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭიროდ დაინახავს და
შემდეგ, რაკი დარწმუნდება, რომ მოსწავლეებმა შეიგ-
ნეს ის, რასაც მათგან მასწავლებელი მოელოდა, ეტ-
ყვის: რაზედაც არის ლაპარაკი წინადადება-
ში, არის ქვემდებარე. ამ წესს მიჰყვება შესმე-
ნილის შესწავლების დროსაც. თუ კი მოზარდს შეე-
ძლება შეიგნოს ქვემდებარეზედ ესა და ეს არის ნათ-
ქვამი, მასწავლებელს მარტო ისღა დარჩენია უთხრას,
რომ რაც ითქმის ქვემდებარეზედ წინადადე-
ბაში, არის შესმენილი. ამგვარად მოკლე წინა-
დადებას მოსწავლეები ადვილად შეითვისებენ. როდესაც
მასწავლებელი დაინახავს, რომ მოსწავლეებმა მოკლე წინა-
დადება და მისი ნაწილები კარგად შეისწავლეს, ქვემდებარ-
ის და შესმენილის კითხვებსაც შეასწავლის მაგალითე-

ბიოგან. შემდეგ, როგორც სახელმძღვანელოა მო-
 ვანილი, მასწავლებელი დასწერს დაფაზედ ისეთს ვრცელს
 წინადადებას, რომელშიაც იყოს ქვემდებარე, შესმენილი და
 ამხსნელი სიტყვა—დამატება. გარჩევის დროს, მოს-
 წავლენები თვითონ მოსმენიან ქვემდებარეს და შესმე-
 ნილს, მხოლოდ შესდგებიან მესამე სიტყვაზედ, რომ-
 ელიც მასწავლებელს სახეში ჰქონდა. აი, თუნდა მაგა-
 ლითი: გიგო ჰკითხულობს წიგნს. მასწავლებე-
 ლი ჰკითხავს მოსწავლენს: რას ჰკითხულობს გი-
 გო? მიუგებენ: გიგო ჰკითხულობს წიგნს. რას
 უშეკრება გიგო წიგნს? მიუგებენ: გიგო წიგნს
 ჰკითხულობს. ქვემდებარეს ხსნის ეს სიტყვა, თუ
 შესმენილს, ჰკითხავს მასწავლებელი? მიუგებენ: სიტყვა
 წიგნს ხსნის შესმენილს. ამის შემდეგ მასწავლებელი
 დასწერს დაფაზედ ისეთს წინადადებას, რომელშიაც იყოს
 ქვემდებარე, შესმენილი და ამხსნელი სიტყვა—ქვემდებარ-
 რის განმარტება და აქაც ისე მოიქცევა, როგორც წი-
 ნა მაგალითში. მერე ისეთს წინადადებას დასწერს და-
 ფაზედ, რომელშიაც იყოს ქვემდებარე, შესმენილი, და-
 მატება და დამატების განმარტება (სოლოს აქვს გარ-
 გი კალამი) და ამასაც ნახვენების წესით გარჩევს.—
 ბოლოს მასწავლებელი ეტყვის მოსწავლენს, რომ ქვე-
 მდებარის და შესმენილის გაკდა, წინადა-
 დებაში დანარჩენი სიტყვები იწოდებიან
 ამხსნელ სიტყვებად, რადგან ისინი ხსნიან
 წინადადების რომელიმე ნაწილს.

თუ-გი უმაწვილმა ამსსნელ სიტუკების მნიშვნელობა გაიგო, მასწავლებლისთვის ადვილია გააგებინოს მათ, რომ წინადადება, რომელშიაც არის მარტო ქვედებაც და შესმენილი, არის მოკლე წინადადება და წინადადება, რომელშიაც არის ქვედებაც, შესმენილი, და ამსსნელი სიტუკები, იწოდება ვრცელ წინადადებად.

ქვედებარის და შესმენილის ამსსნელ სიტუკებში მასწავლებელმა დიდხანს უნდა აკრჯიშოს მოსწავლეები, რომ კარგად გაიგონ თუ, რომელი ამსსნელი სიტუკა რას ხსნის წინადადებაში. შემდეგ საქმე მიდგება დამატებაზე და განმარტებაზე.

რაკი ვარჯიშობასში მოსწავლეები კარგად იქნებიან გაწითენილნი, მასწავლებლისთვის ადვილია გააგებინოს დაუფხედ დაწერილ მაგალითებითგან, რომ ამსსნელი სიტუკა, რომელიც ხსნის წინადადებაში მარტო შესმენილს, იწოდება დამატებად. ამნაირად მოიქცევა განმარტების შესახებაც, მაგრამ, რადგან განმარტება წინადადებაში ხსნის ან ქვედებაც, და ან დამატებას, ამისთვის საჭიროა მასწავლებელმა ცალ-ცალკე გააცნოს დაუფხედ დაწერილ მაგალითებითგან ჯერ ქვედებარის განმარტებას და მერე, იმავე წესით, დამატების განმარტებას. შემდეგ მოსწავლეებმა დამატების და განმარტების გითხვები უნდა შეისწავლონ, მაგრამ ცალ-ცალკე და პრაქტიულად მაგალითებითგან, რომელიც უნდა დაამთავროს წიგნითგან ამოკითხულ მა-

გალითებით და განონებით. ამგვარად მოექცევა მასწავ-
 ლებელი დანარჩენ ამსსნელ სიტყვებსაც. ამით თავდება
 მარტივ წინადადების სინტაქსი. — მარტივ წინადადების
 შესწავლების შემდეგ, საჭიროდ ვრცლთ მოსწავლეები,
 ეტიმოლოგიის დაწეებადის, შემდეგ სიტყვის ნა-
 წილებს გაეცნონ: არსებითს სახელს, ნაცვალ-
 სახელს, ზედშესხმულს, რიცხვით სახელს,
 ზმნას და ვაკშირს. ვაკშირი მისთვის გვაქვს სა-
 ხეში, რომ, ნიშნების (მძიმე) შესწავლების დროს, სა-
 ჭიროსა მოსწავლემ ეს ტერმინი იცოდეს. მასწავლებელი
 ამ შემთხვევაში ასე უნდა მოექცეს: დაწესწეროს დათა-
 ზედ ცალკე სტრიქონებად, თუნდ ამ მაგალითებს: ვა-
 ცი გარბის, ხე დგას, სახელი შენდება და სხვ.
 მეტი წააკითხებს ამ მაგალითებს მოსწავლეებს და შემ-
 დეგ ხმა-მალა და ხმა-გაგრძელებით ეტყვის მოსწავლე-
 ებს: ყველა საგნის სახელი არის არსებითი
 სახელი. ამას განამოკრებიანებს თითქმის ყველას და შემ-
 დეგ თვითონვე მასწავლებელი შეუბრუნებს სიტყვებს ამ-
 გვარად: არსებითი სახელი რას უჩვენებს?
 მოსწავლეები მიუგებენ: არსებითი სახელი უჩვენ-
 ებს ყველა საგნის სახელს. ამით გათავდება არ-
 სებითი სახელის შესწავლება. შემდეგ გარდავა ნაცვალ-
 სახელზედ. მასწავლებელი დაწესწერს დათაზედ სტრიქო-
 ნებად ნაცვალ-სახელებს ამგვარად: მე (გიგოს) მუძინე-
 ბა, შენ (სოსო) გარბინარ, ის, იგი (ლადო) ზის,
 ჩვენ (შაქრო და შალიყო) ვსწერთ, თქვენ (დათი-

კო და ნიკო) კითხულობთ, ისინი, იგინი (ლუარსა და არხილ) თამაშობენ, ე. ი. დასწერს იმ სახელს, რომელიც კლასში ვისმე ჰქვიათ. ჯერ წააკითხებს ამ მაგალითებს მოსწავლეებს და შემდეგ ჰკითხავს: მე რომელი სიტყვის მაგიერია? და თან თვითონვე უთითებს ამ სიტყვას. მოსწავლე მიუგებს: მე არის გიგოს მაგიერი სიტყვა. გიგო ვისი სახელია? მოსწავლე მიუგებ: გიგო ჩემი სახელია. ამგვარად ჩაივლის ყველა მოყვანილ ნაცვალ-სახელებს და შემდეგ სმამალსა და სმა-გაგრძელებით ეტყვიან: საგნის მაგიერი სიტყვა არის ნაცვალ-სახელი. ამასაც ისე განამოკრებიან, როგორც არსებითს სახელს და შემდეგ აქაც ისე შეუბრუნებს სიტყვას: ნაცვალ-სახელი რას უჩვენებს? მოსწავლეები მიუგებენ მასწავლებლის შემწეობით: ნაცვალ-სახელი უჩვენებს საგნის მაგიერს სახელს. ამიტომ დასწერს დათვას და მასწავლებელი შედგენს სახელებს სტრიქონებად (წითელი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე, გრძელი, მოკლე, დიდი, პატარა) და ჩაკითხავს მოსწავლეებს თუ, რა კითხვას უდ მიუგებს თვითონველი მათგანი. შემდეგ პირდაპირ ეტყვის, რომ შედგენილი უჩვენებს თუ, როგორია საგანი. რიტხვით სახელსაც აგრე შეასწავლის: დასწერს დათვას სტრიქონებად: ერთი კალამი, სამი ვაშლი, სუთი კაცი, რვა წიგნი, და, წაკითხვინების შემდეგ, ეტყვის მოსწავლეებს, რომ რიტხვითი სახელი უჩვენებს საგნის რიტხვს.

განა

ესეთი წესი ჭსუფიერს ზმნის შესწავლების დროსაც: მასწავლებელი დაჭსწერს დაფაზედ სტრიქონებად შემდეგ წინადადებას: სიკოს სძინავს, სანდროს ღვიძავს, ვანოსწერს წერილს, ქეთო ბაღიშს ჭქარგავს. წავითხვინიების შემდეგ, თვითთუელ სტრიქონითგან გამოსწერს ზმნებს წინადადების პირდაპირ მარჯვნივ და მიუბრუნდება მოსწავლეებს ამ კითხვით: რა მდგომარეობაშია სიკო? მოსწავლეები მიუგებენ: სიკოს სძინავს. რამდენიმე განმეორებინების შემდეგ, მეორე მაგალითსაც გააჩვენებს. შემდეგ მესამე მაგალითზედ მისცემს ამნაირს კითხვას: რა მდგომარეობაშია ვანო? მოსწავლეები მიუგებენ: ვანო სწერს. შემდეგს მაგალითსაც ასე გააჩვენებს. ბოლოს, რამდენიმე განმეორებინების შემდეგ, მასწავლებელი უთითებს ზმნებსზედ და ეტყვის სმა-მადლა და სმა-გაგრძელებით: ზმნა უჩვენებს სავსის მდგომარეობას ან მდგომარეობას. ზმნის შესწავლების დროს მასწავლებელმა უნდა გააცნოს მოსწავლეები პირველს, მეორეს და მესამე პირს, მსოფო ბითს და მრავლობითს რიცხვს და ზმნის სმის დროს: აწმეოს (ახლანდელს), ნამეოს (წაჩსულს) და მეობადს (მომავალს). ზმნის დროების შესწავლებას შეიძლება ამგვარად: ესლა მე ვსწერ, გუშინ მე? სვალ მე?

კავშირის გაცნობას უფრო ადვილია: მასწავლებელი დაჭსწერს დაფაზედ ორს სიტყვას, ან ორს წინადადებას, რომელთაც აერთებდენ კავშირი „და“. წავითხვინიების შემდეგ გამოსწერს კავშირს განზედ და მიუბრუნ-

დებს მოსწავლეებს შემდეგის კითხვით: რა სიტყვებს აერთებს სიტყვა «და»? მოსწავლეები მიუგებენ. ამავე წესს იხმარს წინადადებზედაც და შემდეგ ეტყვის: გააკვირდით აერთებს რა რა სიტყვას წინადადებაში, ან რა რა წინადადებას.

თუ კი ეს სიმბოლო დასძლია მოსწავლემ, დანახების შესწავლება უფრო ადვილია, — მასწავლებელს შეუძლიან, პროგრამის მიხედვით, რთულ წინადადებისკენ ან ეტიმოლოგიაში გარდვიდეს და უფრო კრძლად და გარკვევით შეასწავლოს.

სასუბიექტურად მოზომილია სამს კურსზე და, თუ მოსწავლეები პირველს წელიწადს მარტივ წინადადებას და რამდენიმე სიტყვის ნაწილს შეისწავლიან, მეორე წელიწადში საჭიროა ეტიმოლოგია შეისწავლონ, და მარტივი წინადადება კი განიმუშაონ. მესამე წელიწადში რთული წინადადება უნდა შეისწავლონ და მარტივი წინადადება ეტიმოლოგიით განიმუშაონ. მესამე წელიწადშივე, თუ ადრე არა, საჭიროა შეიგნონ მოსწავლეებმა რაც წერით შრიფტით არის დაბეჭდილი.

რადგან ზმნა საზოგადოდ და კერძოდ ქართულ ენაში ერთობ დახლართულია და ჯერ კიდევ გაურკვეველი, ამიტომ საჭიროდ დაკინახეთ ბოლოში ზმნის ტაბლიცა მიგვემოტეინა, რომელშიაც, შეძლებისდაგვარად, მოყვანილია, სხვათაშორის, უძველესი ზმნები და თან ისიც თუ, ზმნაში რა ასო რომელ ასოდ იცვლება სხვა-და-სხვა დროში.

XIII

დასასრულ ბოდიშს ვითხოვთ ავტორებთან, რომელთა ნაწერებითგან იმულებული ვიყავით ამოგვეღო მაგალითებისთვის რამდენიმე სტრიქონი ნაწევრებად. სამწუხაროდ, ცოტა არ იყოს, ამგვარმა ჩვენმა ქვეყანაში უცვალა თვით მაგალითებს, მაგრამ, იმედი გვაქვს, სულგრძელი ავტორები ამ თვითმნებლობას მოგვიტყუებენ.

ან. ქუთათელაძე.

1888 წელს, აპრილი.



სინტაქსის

ს ა გ ა ნ ი

კაცი, სახლი, მიწა, წყალი, ქვა, მთა, ტყე, მთვარე, მზე, ვარსკვლავი, ღმერთი, ანგელოზი,

1. ყველაფერი, რასაც ჩვენ ვხედავთ ან წარმოვიდგინებთ გონებაში, არის ს ა გ ა ნ ი.

წინადადება

ზამთარი თავდება. ვარსკვლავი ციმციმებს. მთვარე გაშვავებს. ცა ბრწყინვალეებს. მზემ ამოაშუქა. ყვავილი ჭიჭიანავს. ფოთოლი ქსრიანებს. მტკვარი ბუტბუტებს. რიონი ჭევირის. მდინარე სჩქეფს. მერცხალი ჭიკჭიკებს. ბუბუღლი ქსტვენს. შაში გაჭკივს. ქვეყანას ეღვიბება.

× 1. როდესაც ჩვენ მოვიფიქრებთ საგანზედ რასმე, მაშინ ჩვენ გონებაში გვებადება აზრი.

× 2. აზრი, წარმოთქმული სიტყვებით ზეპირად, ან დაწერილი რაზედმე, არის წინადადება.

ქვემდებარე და შესმენილი

ქარი გზიალებს. აწაგვი მოქმუის. ვარდი იშლება.
კაცი ჭმრამობს. ზღვა ჭლელავს. ჩიტო ჭფრინავს. ცხენი
ჭიხვინებს. კატა კნავა. გოჭი ჭყვირის. ძროხა
ბლავა. ვირი ყრყინებს. ღამი ჭღრიალებს. შალიკოს
ჭსძინავს. თაგვი გარბის.

1. *ქვემდებარე არის საგანი, რომელზედაც
არის ლაპარაკი წინადადებაში.

2. რაც ითქმის ქვემდებარეზედ წინადადებაში,
არის შესმენილი.

* ქვემდებარე და შესმენილი იწოდება წინადა-
დების უმთავრეს ნაწილებად.

3. წინადადება, რომელშიაც არის მხოლოდ
ქვემდებარე და შესმენილი, იწოდება მოკლე
წინადადებად.

4. ქვემდებარის გამოცნობა შეიძლება ამ გვა-
რის კითხვებით: ვინ? რა? ვის? რას? რამ?

5. შესმენილი მიუგებს შემდეგ კითხვებზედ:
რას შერება საგანი? რას შერებოდა საგანი?
რა უნდა ჰქმნას საგანმა? რა მდგომარეობაშია ან როგორია საგანი?

6. ყოველ წინადადებას შემდეგ, რომელშიაც
აზრი გათავებულია, უნდა წერტილი (.)

ამხსნელი სიტყვები

შაკი დაფა დგას. მამალი გატა გაიქცა. შატაწა ბოკში იცინის. დიდი გაცი მოდის. თეთრმა ცხენმა დაიჭინებინა. დათიკო წეწილს ჰსწყის. სოსომ მახით მწყეწი დაიჭირა. გიგოს თამა შობა უყვარს. მერცხალს ჭიკჭიკი ესალისება. ბიძინამ წიგნი იყიდა. შაქშან ცუდი დრო იყო, წიკუღს გარგი დრო არის. ხვალ უკეთესი ტაროსი იქნება. ზეკით ღმერთი ბრძანებს, ქვეშ გაცი განაგებს. შეშინებულ გაცი აქეთ მოვბის. უკან მტერი მოვბის. წინ მეგობარი დგას. ჩიტ ბუდეს ოსტატურად აკეთებს. გაყილამაზად მღერის. ვასოს საქმე გარგად მიდის. მგლის საქმე ცუდად არის. მოსწავლემ ღარიბობის გამოსკოლა დასტოვა. გოტემ უწიგნობის გამოსკოთილი არ იცოდა. ღმერთმა პური საჭმელად გააჩინა. სანთელი გაცს სასინათლად უნდა. გიგო წავიდა ძმის სახასაკად.

1. ქვემდებარის და შესმენილის გარდა, დანარჩენი სიტყვები წინადადებაში იწოდებიან ამხსნელ სიტყვებად, რადგან ისინი წინადადების რომელიმე ნაწილს ჰხსნიან.

2. წინადადება, რომელშიაც არის ქვემდებარე, შესმენილი და რომელიმე ამხსნელი სიტყვა, იწოდება ვრცელ წინადადებად.

ამხსნელი სიტყვები არიან:

1. დამატება, 2. განმარტება, 3. გარემოებითი სიტყვები.

დამატება

გიგომ გაკვეთილი დაისწავლა. დათიკომ მტერი გააქცია, ლევანმა ჩიტი დაიჭირა. დედას შვილის წერილი მოუვიდა. გიგომ დას ერიდება. ქმა დას ესთრება. შვილი მშობელს ეთავსება. მისაკომ ჯახით მტერი მოიგება. აწილმა დანით გალაში გამოქსტა. რუსთველმა ვკუხვის. ტუასანი დაქსტა.

1. ამხნელი სიტყვა, რომელიც შესმენილს ეკუთვნის, იწოდება დამატებად.

2. დამატება მიუგებს შემდეგს კითხვებზე: ვინ? რა? ვისი? რის? ვის? რას? რით? რად?

განმარტება

გარგი გაცი მოვიდა. ცუდი გაცი წავიდა. ნიშა ხარი დაიკარგა. გოჭლი ცხვარი მობრუნდა. ჩემი წიგნი დაძველდა. შენი გალაში გატყდა. გიგოს არი რვეული უნდა. ნესტორმა ერთი გარგი წიგნი იყიდა. ნიკას ოთხი დანა აქვს.

1. ამხნელი სიტყვა, რომელიც ჰხნის ქვემდებარეს ან დამატებას, იწოდება განმარტებად.

2. განმარტება მიუგებს შემდეგს კითხვებზე: როგორი? რომელი? რამდენი? ვისი?

გარემოებითი სიტყვები

შაკშან ცუდი მოსავალი იყო. წრეულს ცივი
 შამთანი იყო. გაისად ვანო ათის წლის იქნება. სან-
 დროს ხვალ შინ იქნება. ქეთო ზეგ მცხეთას მიდის.
 დღემდის შაქრის საქმე ცუდად მიდიოდა. გუშინდ-
 ლამდის გიორგი აქ იყო. ზეგით ღვთის მუშინია,
 ქვეგით ერის მეტიდება. აქედ-იქედ მთა აუუდებუფია.
 ნიკოს წინ მტერი ელბება. ვანო კარგად არის.
 გიგო გუშინ ცუდად იყო. ოდესმე ჩვენ უკუ-
 თქვასად დავაწეობთ საქმეს. მოსწავლე ავადმყოფ-
 ფობის გამოსწავლას მოაკლდა. არჩილს უცო-
 დინარობის გამოსეცდომას მოუვიდა. ქალადდი-
 სავერად არის. წიგნი საკითხავად მინდა. მე
 მივდივარ შინ დედის სასახლად.

1. გარემოებითი სიტყვები უჩვენებენ შესმე-
 ნილის სხვა-და-სხვა გარემოებას.

გარემოებითი სიტყვები არიან:

1. დროს-გარემოება, 2. ადგილის-
 გარემოება, 3. მოქმედების-გვარი, 4.
 მიზეზის-გარემოება, 5. მიზნის-გარე-
 მოება.

დროს-გარემოება

გაისად არჩილი გიმნაზიას დაასრულებს. ხვალ
 დათიკო შინ იქნება. წრეულს კარგი საფხული იყო.
 დღემდის კარგი სწავლა არ ყოფილა. ზეგ სანდროს
 ეგზამენი აქვს. გუშინდლამდის სიკო ავად იყო. ხვა-

დემდის ილიკო შინ დარჩება. გუშინ ციციუნამ თავი დაიჭირა.

1. დროს-გარემოება უჩვენებს დროს და მიუგებს შემდეგს კითხვებზედ: როდის? რა დროდგან? რა დრომდის? როდემდის?

ადგილის-გარემოება

ჩიხე შიგნიდგან გატუდება. აგრე იარე მცსკთამდის. აქედ-იქედ დიდის ძეჯა. დამშეული გუდა-მელა კენას ში მიიხარება. იქ მიჯობს შავი სიკვდილი, ბაკ ში სიცოცხლეც იმწარის. ბაქოსკენ სიცხეიცის. ტფილი ჭაერი ზეკით მდის, ცივი ჭაერი ზეკიდგან მდის. დედა-მიწიდგან აღის ორთქლი. ციდგან ჭექა-ჭუხილი ისმის.

1. ადგილის-გარემოება უჩვენებს ადგილს და მიუგებს შემდეგს კითხვებზედ: სად? საით? საიდგან? სადამდის? საითკენ?

მოქმედების-გვარი

ასე უნდა მომკოთ ზური. ტიტო რიგისანად სწავლობს. მზის სხივმა რა წითლად შექლება. სანდის-სან მთვარე მქალად იცქირება. მზე მეფურად დაჭეუ-რებს ქვეყანას. გაზაფხული მხიარულად გვხდის. ზამთარი ცუდად იხსენება.

1. მოქმედების-გვარი მიუგებს შემდეგს

კითხვებზედ: როგორ? რა ნაირად? რა გვა-
რად?

მიზეზის-გარემოება

უცოდინანობის გამომწვევი ღარიბად აჩის.
დაუდეკრობის გამომწვევი ვაღით აჩის სავსე.
მოსწავლე ავადმყოფობის გამომწვევი წა-
სულა.

1. მიზეზის-გარემოება უჩვენებს მიზეზს
და მიუგებს შემდეგს კითხვებზედ: რატომ? რის-
გამომ?

მიზნის-გარემოება

ხრმალი საომრად მიხდა, ფაჩი მოსაგერებლად
დაძვირდება, მუზარადი საჩქველად გამოადგება. გი-
გო სათამაშოდ წავიდა. ქრისტე მოვიდა ჩვენ დასა-
ხსნელად.

მიზნის-გარემოება უჩვენებს მიზანს და
მიუგებს შემდეგს კითხვებზედ: რად? რისთვის?

კითხვითი ნიშანი

ვინ იყო საქართველოს პირველი მეფე?
როდის მოინათლა საქართველო?
რომელ მეფის დროს იყო შოთა რუსთაველი?
ბაგრატ მესამე სად აჩის დასაფლავებული? *)

*) ბედიის ეკლესიაში, სამკრზნაყანოში.

ღვეთ ღმარებელი და თამარი სად არიან დასა-
ფლაგებულნი?

შენ თუ შენი დედა გიყვარს, რად მიძულე მე?

1. ყოველ წინადადების შემდეგ, რომელშიაც
კითხვაა, დაისმება კითხვითი ნიშანი (?)

მ ი მ ა რ თ ვ ა

შენს იმედზედ ვარ, უფალო!

ღმერთო! გვაღივსე ტის ნამი.

გადი, გამადი, გუთანო!

ღირღიტაკ! ბანი უთხარო.

სახნის-საკკეთო! გაუსვი.

ნიშაკ! ნიგორას გაუწი.

მეხრეკ! გაუვარ შინდასა.

უამირო ბელტო! ნუ ნაზობ.

შენი ჭირიძე, გუთანო!

გავლსოთ, ძმებო, ნამგალი!

მეთაურო! დავკაცალო.

მოგვიასლოვე გაზაფხული, მატხეგარო!

1. მიმართვითი სიტყვა არის წინადა-
დებაში ისეთი სიტყვა, რომლისკენაც ჩვენი ყუ-
რადლება არის მიქცეული.

შენი შენა თუ მიმართვით იწყება წინა-
დადება, მაშინ მიმართვითის სიტყვის შემდეგ გან-
კვირვებითი ნიშანი უნდა (!); თუ შუაში ზის მი-

მართვითი სიტყვა, მაშინ ორივე მხრით უნდა მძიმე (,) და წინადადების ბოლოში განკვირვებითი ნიშანი; თუ ბოლოში ზის,—მაშინ მის წინ უნდა მძიმე და ბოლოში განკვირვებითი ნიშანი.

ზოგ შემთხვევაში თუ მიმართვითის სიტყვით იწყება წინადადება,—მის შემდეგ დაისმის მძიმე და სულ ბოლოში განკვირვებითი ნიშანი (!)

თავი წინადადება და დამოკიდებული წინადადება.

მისთვის დაუფრენ მოუსვენრად, რომ მოგსძებნო ყვე-
გაილა.

ვინც მე იმ დროს ხელს შემიშლის, ქვეყნის მტკრიც
ის არილა.

იქ სამართალი ვით ჭბოვოს საწყაღმან, ანუ უძღუღმან,
სადაცა ქრთამებს იყოფენ მწეწალნი დიაბღუკებთან.
ჭკვანთი ვაცები იმას ცდილობენ, რომ ყველა ბედნიერი
იმას უხარდეს, ვინც ბედნიერია. (იეოს.)

სუ გჳკრას ის, რომ ბოლოს ბოროტებამ გაი-
მარჯვოს.

1. თავი წინადადება არის ისეთი წინა-
დადება, რომელიც თავის თავად იზყოფს საკუთარს
აზრს და რომელზედაც არის დამოკიდებული სხვა
წინადადება.

2. წინადადება, რომელიც ხსნის თავ წინადა-
დების რომელიმე სიტყვას, იწოდება დამოკი-
დებულ წინადადებად.

თავ წინადადების და დამოკიდებულ წინადადების შუა
დაისმება მძიმე.

დამოკიდებულნი წინადადებანი

დამოკიდებულნი წინადადებანი არიან:

ა. განმარტებითი დამოკიდებული წინა-
დადება.

ბ. დამატებითი დამოკიდებული წინადა-
დებანი.

გ. გარემოებითი დამოკიდებულნი წი-
ნადადებანი.

განმარტებითი დამოკიდებული წინადადება

ისეთმა ფურცმა დამწიხლოს, რომელიც ჩემსუდ
მეტს იწვევდა.

იმდენი ისტუნე, რამდენიც გენებოს.

იმ ყმაწვილს სვდა სახუჭარი, რომელიც კარგად
სწავლობდა.

ისეთს კაცს სცემენ ჰატისს, რომელსაც ბევრი
უმრძომნია ქვეყნისთვის.

იყო ერთი შთის კაცი, რომელსაც ბადი ან ენახა.

ის კაცი, რომელიც ქვეყანას ჭაღატობს, ყვე-
ლასგან განწირულია.

კრულია ის მოსამართლე, ვინც ან გაარჩევს საკმესა,
იკერთხოს იმის მარჯვენა, ვინც გოესა მოგი-
ყვანათ.

იმისი საზრდო შეიქნ, გინც გოესა, მოგიეგანაო.

1. დამოკიდებული განმარტებითი წინადადება ჰხსნის თავ წინადადების რომელიმე სიტყვას და მიუგებს შემდეგს კითხვებზედ: რომელი? როგორი? რამდენი? ვისი?

დამატებითი დამოკიდებული წინადადება

ვინ იტყვის იმას, რომ ეშმაკი ანგელოზსა ჰგავს. შაღიკომ სთქვას, რომ ტყეში ბეგრი კრიკინა აწისო.

დღეს სასწავლებელმა ილაზარაკა, რომ შაგირდებმა კარგად ისწავლან.

გიორგი ეხვეწებოდა მამას, რომ ის სასწავლებელში მიეცა.

მეცნიერნი იმით არიან ბედნიერნი, რომ ხალხი წარმატებაში შედის.

კაცი იმით არის ღვთის კერძი, რომ მეტყველი აწსებას.

სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ყამს გრძელსა.

1. დამოკიდებული დამატებითი წინადადება ჰხსნის მხოლოდ თავ წინადადების შესმენილს და მიუგებს შემდეგს კითხვებზედ: რა? რას? რით? რად?

გარემოებითნი დამოკიდებულნი წინადადებანი

გარემოებითნი დამოკიდებულნი წინადადებანი უჩვენებენ თავ წინადადების რომელიმე გარემოების და განიყოფებიან:

ა. დროს-გარემოებითი დამოკიდებული წინადადება.

ბ. ადგილის-გარემოებითი დამოკიდებული წინადადება.

გ. მოქმედების-გვარი დამოკიდებული წინადადება.

დ. მიზეზის-გარემოებითი დამოკიდებული წინადადება.

ე. მიზნის-გარემოებითი დამოკიდებული წინადადება.

დროს-გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

თორმეტის წლისა მაშინ ვიყავი,

როცა ბატონმა სახლს მომაშორა.

შუა ღამე რომ შეიქნა, მაშინ ავუბი თვალები.

მე მაშინ მოვაგონდები, როცა რომ წავა ტყეშია.

იმ დროდგან დაიღუბნენ ებრაელები, რა დროდგანაც მათი სამეფო წარად გაიყო.

იმ დრომდის უნდა მივადწიოთ, რომ ყველა კანც განათლებული იყო.

1. დროს-გარემოებითი დამოკიდებული

ლი წინადადება მიუვებს დროს-გარემოებითის
სიტყვების კითხვებზედ: როდის? რა დროდგან?
რა დრომდის?

ადგილის-გარემოებითი დამოკიდებული წინა- დადება

იქ მიტუნტულდა, სადაც ძამალი ჯდებაო.

მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება, სადაც ჩვენა
გართ ჩვენი ბატონი

დიდ-უბეში იქონწილა,*) სადაც რომ სწყდარი არი.

სადაც რუდ სავალი იყო, იქ გავიყვანდი გზასაო.

სადაც წახვალ, მე მაშინვე იქა ვარ.

საბრალო მერცხალი იქითგან მიდის შემოდგომა-
ზედ, საიდგანაც მოვიდა გაზაფხულზედ.

ჩვენ მივალთ იქამდის, სადამდისაც სამზღვარია.

1. ადგილის-გარემოებითი დამოკი-
დებული წინადადება მიუვებს ადგილის-გარე-
მოებითის სიტყვების კითხვებზედ: სად? საით?
საიდგან? სადამდის? საითკენ?

მოქმედების-გვარი დამოკიდებული წინადადება

წიგნი ისე უნდა დაიწეროს, რომ ყველასთვის
გასაგები იყოს.

ლევანს იმ გვარად დასჯარტვია საქმე, რომ მისი
გასწორება მნელია.

*) თამარ-დედოფალია.

იმ ნაირად უნდა იქცოდეს კაცი, რომ ქვეყანას უყვარდეს.

აქლემის საშალზე ისე არ დაშატაწავდება, რომ გირის საშალზე არ გამოვიდეს.

როგორც მოხვალ სვინაო, ისე წასვალ შინაო.

ისე არა სწვიმს, როგორც ჭქუსს.

ისე გაუძლებს ასს ქვასა, არსად დასჭინდეს ცუღას.

როგორც მოველ, ისე განვალ ამ სოფლით.

1. მოქმედების-გვარი დამოკიდებული წინადადება მიუგებს შემდეგს კითხვებზე: როგორ? რა ნაირად? რა გვარად?

მიზეზის-გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

დათიკოს იმიტომ მოუვიდა შეცდომას, რომ ჯერ კიდევ გამოუცდელია.

უსწავლელები რომ განთ, იმიტომ გვჯობიან ევროპელები.

სშირად ზღვის შირად იმიტომ იცის ციებ-ცხელება, რომ იქ ბევრი ჯაობია.

ღამეში ვარსკვლავები იმიტომ სჩანან, რომ მზის სხივი აღარ უშლის.

დღისით მთვარეს იმიტომ არ აქვს სინათლე, რომ მზის სხივი ერევა.

ჩვენს ქვეყანას იმიტომ ეძახიან საქართველს,
რომ აქ მკვიდრნი ქართველები არიან.

ზამთარში თბილს ტანისამოსს იმიტომ ვიცვამთ,
რომ ერთობ გვცვივს.

წყალი გაიყინა იმის გამო, რომ სიცივე დადგა.

1. მიზნის-გარემოებითი დამოკიდებულის წინადადება მიუგებს შემდეგს კითხვებზედ: რატომ? რის გამო?

მიზნის-გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

მე ჩანგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს.

~~დედა მიწის გულში~~ იმისთვის ეძებენ მადნეულობას,
რომ ცხოვრებაში გამოიყენონ.

ქალაქი იმისთვის ვიუიდე, რომ დაგსწერო.

გიგო იმისთვის მიდის სოფელში, რომ თავისი მამული ფესზედ დააყენოს.

სანთელი ვაჭმა იმისთვის მოიგონა, რომ ბნელში გზა გაიკვლიოს.

ემაწვილი იმისთვის სწავლობს, რომ ჭკვიანი შეიქნეს.

შენ ერძან მოგცა პირველ ღირსება,

რათა დაუცვა ყოფა-ცხოვრება.

1. მიზნის-გარემოებითი დამოკიდებულის წინადადება მიუგებს შემდეგს კითხვებზედ: რად? რისთვის?

ჩართული წინადადება და ჩართული სიტყვები

როგორც მოგვითხრობს საქართველოს მატრიანე, თარგამოსი იყო იაფეთის შვილის-შვილი.

საქართველოს მატრიანის სიტყვით, ტფილისი აღაშენა ვასტანგ-გორგასლანმა.

შოთა რუსთაველი იყო დაბა რუსთავედგან, როგორც ვიცით.

ძთვარეზედ, როგორც ამბობენ, ჭაკრი ან არის.

დედა-მიწის გულში, როგორც ამბობენ, გაძღნაწი თხელი ნიუთიერება არის.

მეცნიერების სიტყვით, თეთრი ფეკრი შვიდ ფეისგან შესდგება.

დედა-მიწა თავის ღეკძის გარშემო ჭტრიალებს, როგორც მეცნიერება ამტკიცებს.

1. ჩ ა რ თ უ ლ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა არის ისეთი წინადადება რომელიც ზის სხვა წინადადებაში და ერთობ მცირედ ხსნის მისს დედა-აზრს.

2. ჩ ა რ თ უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ც ა მ კ ა ნ ო ნ ს ე მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ი ა ნ .

3. ჩართული წინადადება და ჩართული სიტყვები უნდა დაშორდნენ დანარჩენს სიტყვებს ან მძიმეთი და ან ტირეთი (—). —თუ კიდევ უფრო მცირედ ხსნის წინადადებას, მაშინ ბრჩხილებში () უნდა ჩიასვას ჩართული წინადადება.

მიმატებითი სიტყვა

შირჩიანმა, საქართველოს მეფემ, მონათლა ქართველთა მცხეთაში.

გახტანგმა, მეფემ, დაარსა ქალაქი ტფილისი.

დავითმა, საქართველოს მეფემ, აღაგო გელათი. თამარმა, მეფემ, განაბრწყინა საქართველო.

ერეკლემ, საქართველოს მეფემ, დაამარცხა სპარსელები კრწანისში.

სვეტის ცხოველის ეკლესია აღაგო მცხეთაში შირჩიანმა, საქართველოს მეფემ.

1. სიტყვა, რომელიც თან დაჰყვება ქვემდებარეს ან დამატებას და მიუგებს მასთან ერთს და იმავე კითხვაზედ, იწოდება მიმატებად.

2. მიმატება თუ შუაშია, მაშინ ორივე მხრით მძიმე დაისმის და, თუ ბოლოშია, მაშინ მის წინ უნდა მძიმე და ბოლოში წერტილი.

მოყვანილი წინადადება.

დათვმა სთქვა: „სიზმარი განსკ.“

ჭარში ბიჭმა დაიკვებნა; „წავალ, გახეთს შეისწავლი.“

გახის ბიჭმა შეუთვალა: „შენ გახეთს ვერ შეისწავლი.“

მთაში დოჯმა დაიკვებნა: „ეველგან გავიკეთე ბინა“

გურდღელმა სთქვა: „~~წინა~~ კნივარ.“

96730
118 K 1975
10

ლიახვმა სთქვა: „ავდიდები, არაკვს არ დავედრები.“

მოისმა ხმა: „აწხილ.“

1. მოყვანილი წინადადება არის ისეთი წინადადება, რომელიც შეიცავს სიტყვა-სიტყვით მოყვანილს სხვის აზრს.

2. მოყვანილ წინადადების წინ უნდა ორი წერტილი (:).

3. თუ თავ-წინადადების წინ ზის მოყვანილი წინადადება, მაშინ ორ წერტილის მაგივრად უნდა მძიმე.

4. მოყვანილი წინადადება ზის წინ წკლებში („“).

5. მოყვანილი სიტყვაც ამ კანონს ემორჩილება. მოყვანილი სიტყვა არ შეადგენს ცალკე წინადადებას.

უენიშნვა ა. ორი წერტილი უნდა კიდევ იმ შემთხვევაში, თუ შესმენილთან კითხვა რისმე ჩამოთვლას მოითხოვს,—მაგ. მე მაქვს: ათი წიგნი, ორი კალამი და ერთი საწერელი.

ბ. მოყვანილს წინადადებას აქვს აზრით დამატებით წინადადების ხასიათი.

მარტივი წინადადება

ხასკვარი ცხოვრების გზა გავლიე.

ცის მასლობლად თერხთ ქვეშ ვივრძენ მან: მე, თაუო ჩემო! ზედი არ გიწერია.

სიტყბო-სკდა მწარე შექტი დაკლიე.
ჩანგო ჩემო! ეშხით არ გიყუღწია.

ზღვა ჭღუღს.

ზღვა ჭღეღავს.

ღამი ჭღრიალებს.

იჭექა.

გრგვინვა მოისმა.

იელა. ბუდი სდგას.

1. მარტივი წინადადება არის ისეთი წინადადება, რომელშიაც არის ერთი ქვემდებარე და ერთი შესმენილი და ამხსნელი სიტყვებიც (ზოგჯერ, შეიძლება, არ იყოს), მაგრამ ისეთი კი, რომელნიც ერთს და იმავე კითხვაზედ არ მიუგებენ და რომელშიაც, საზოგადოდ, არ არის ისეთი სიტყვები, რომ, რამ-ნაირად, მათგან ერთის წინადადების მეტი შესდგეს.

მაშასადამე ყოველი მოკლე და ვრცელი წინადადება არის მარტივი წინადადება.

რთული წინადადებანი

რთული წინადადება არის ისეთი წინადადება, რომელიც შესდგება ორის ან რამდენიმე მარტივ წინადადებისგან.

რთული წინადადებანი განიყოფებიან:

ა. გაერთებულ ი წინადადება.

ბ. შეერთებულ ი წინადადება.

გაერთებული წინადადება

ვის ეკადრება თავკებთან გულის ბზეკა და ღზე-
ნაო.

დაჭუდიგლეს, ჩაუნისკარტეს, გაჭკრეს, გამოჭკრეს
ბრჭყალები.

სისხლი ადინეს ღამურას, ამოუბნელეს თვალები.
ღაღმა დაეშვა ღამურა, მაჭმანთა ისევ ძველს სა-
დგურს.

მას შემდეგ ნანგრევში ბუდობს, დღისით კერ
ჩნდება სირცხვილით.

აფრინდა ქორი, აფრინდა, აჩაგვი ჩაინადირა,
მცხეთას დაეჭა დედალსა, ავჭალას მტკერი ადინა.
ერთხელ კუ და მორიელი დაძმობილდნენ.

გაინი, აბული და სუითი ადამის შვილები იყვნენ.
სუმი, ქაში და იათუთი ნოეს შვილები იყვნენ.

1. გაერთებული წინადადება არის ისე-
თი წინადადება, რომელშიაც ერთი ქვემდებარე
და რამდენიმე შესმენილი, ან რამდენიმე ქვე-
მდებარე და ერთი შესმენილი, ან ერთი ქვემდებარე,
ერთი შესმენილი და რამდენიმე ამხსნელი სიტყვა,
რომელნიც მიუყვებენ ერთს და იმავე კითხვაზედ.

2. სიტყვები, რომელნიც მიუყვებენ ერთს და
იმავე კითხვაზედ, უნდა დავაშოროთ ერთმანერთს
მძიმეთი, თუ მათ შუა არ არის კავშირი „და“.

შენიშნვა. გაერთებული წინადადება შეიძლება დავ-
ყოთ რამდენიმე საკუთარ მარტივ წინადადებად.

შეერთებული წინადადება

ზაზანებას, ბუდი სდგას, უჭირს საბჭალო ენასა:
იჭეჭა, გრგვინვა მღისმა, იელა სადღაც ცაშია.

1. შეერთებული წინადადება არის ისეთი წინადადება, რომელიც შეიცავს ერთს თავს-წინადადებას და ერთს, ან რამდენიმე დამოკიდებულს წინადადებას; ან ორს, ან რამდენიმე მარტივს დამოუკიდებელს წინადადებას.

წესტილ-მძიმე

უფრო და უფრო ჩამოცსა, მიწუსს მაშვრალი
სულია;

ახსაით იძვრის ნიაკი, ცა წაცლა მოსუშულია.

1. როდესაც რთული წინადადება შემდგარია რამდენიმე მარტივ მოკლე წინადადებისგან, მაშინ მათ შუა უნდა მძიმე და, თუ რთული წინადადება შემდგარია ორის, ან რამდენიმე ვრცელ წინადადებისგან, მაშინ მათ შუა უნდა წესტილ-მძიმე (;).

შემოკლებული დამატებითი დამოკიდებული
წინადადება.

იაკობს ან უნდოდა, რომ ეგვიპტეში გარდასას-
ხლებულიყო.

იაკობს ან უნდოდა ეგვიპტეში გარდასასხლება.

მოსე სცდილობდა, რომ ებრაელები ეგვიპტელე-
ბისგან გამოეხსნა

მოსე სცდილობდა ებრაელები ეგვიპტელებისგან
გამოეხსნა.

მოსე სცდილობდა ებრაელების გამოეხსნას ეგვი-
პტელებისგან.

ერთმა სთქვა, რომ განკარგვოთო.

ერთმა სთქვა განკარგვოთო.

ერთმა სთქვა განკარგვა.

გიგოს უნდოდა, რომ შინ წასულიყო.

გიგოს უნდოდა შინ წასულიყო.

გიგოს უნდოდა შინ წასვლა.

შემოკლებული განმარტებითი დამოკიდებული
წინადადება.

იმდენი ჯარი შეიკრიბა, რომ მიწას ემძიმებოდა.

იმდენი ჯარი შეიკრიბა, მიწას ემძიმებოდა.

იმისთანა სთქვი, რომ შესაძლებელი იყოს.

იმისთანა სთქვი, შესაძლებელი იყოს.

ისეთი ამბავი გვითხარს, რომ ჩვენ ან ვიცოდეთ.

ისეთი ამბავი გვითხარს, ჩვენ ან ვიცოდეთ.

შოთამ, რომელმაც ვეფხვის-ტყაოსანი დასწერა,
ასახელა საქართველო.

შოთამ, ვეფხვის-ტყაოსნის დამწერმა, ასახელა
საქართველო.

აკაკი წერეთელი, რომელმაც თორნიკე ერისთავი
დასწერა, საუკეთესო მწერალთაგანია.

აკაკი წერეთელი, თორნიკე ერისთავის დამწერი,
საუკეთესო მწერალთაგანია.

კაცია ადამიანი, რომელიც თ. ი. ჭავჭავაძემ დას-
წერა, შეადგენს დიდს განძს ქართულს მწერლობაში.

კაცია ადამიანი, თ. ი. ჭავჭავაძისგან დაწერილი,
შეადგენს, დიდს განძს ქართულს მწერლობაში.

ილია ჭავჭავაძისგან დაწერილი კაცია ადამიანი
დიდს განძს შეადგენს ქართულს მწერლობაში.

თხზულება, რომელსაც სიემაწვილეში სწერენ, უფ-
რო ცუცხლ-მოგრქვევია.

თხზულება, სიემაწვილეში ნაწერი, უფრო ცუ-
ცხლ-მოგრქვევია.

სიემაწვილეში ნაწერი თხზულება უფრო ცუცხლ-
მოგრქვევია.

შემოკლებული მოქმედების-გვარის დამოკიდე- ბული წინადადება

ჩუვიროდა, როგორც კაცი.

ჩუვიროდა კანდივით.

ფთხრიალებდა, როგორც ჩიტია.

ფთხრიალებდა ჩიტავით.

ღრიალებდა, როგორც ღამი.

ღრიალებდა ღამივით,

ქარი ჰკენესოდა, როგორც დაჭრილი კაცი.

ქარი ჰკენესოდა დაჭრილ კაცივით.

შემოკლებული მიზეზის-გარემოების დამოკიდებული წინადადება

კაცი ტანჯვას ადვილად ითმენს, იმიტომ რომ მოძავალის იმედი აქვს.

კაცი ტანჯვას ადვილად ითმენს მოძავალის იმედით.

გლეხი შეწუხებულია, იმიტომ რომ ღარბია.

გლეხი შეწუხებულია სიღარიბის გამო.

ქარი ჩნდება, იმიტომ რომ ჭაერი მოძრაობს.

ქარი ჩნდება ჭაერის მოძრაობის გამო

მაშინა არ მოვიდა დროზედ, იმიტომ რომ ღერძი გატეხილდა.

მაშინა არ მოვიდა დროზედ ღერძის გატეხის გამო.

შემოკლებული მიზნის-გარემოების დამოკიდებული წინადადება

გონება კაცს იმისთვის, აქვს რომ ჭეშმარიტება დაიცვას.

გონება კაცს ჭეშმარიტების დასაცავლად აქვს.

ფული გააჩინა კაცმა იმისთვის, რომ საჭიროებს უფრო ადვილად დაიკმაყოფილოს.

ფული გააჩინა კაცმა საჭიროების უფრო ადვილ დასაკმაყოფილებლად.

ქვა-ნახშირი მასსებნა კაცმა იმისთვის, რომ ცხოვრება გაიადვილოს.

ქვა-ნახშირი მასსებნა კაცმა ცხოვრების გასაადვილებლად.

საათი გამოიგონა კაცმა იმისთვის, რომ დრო შეიტყოს.

საათი გამოიგონა კაცმა დროს შესატყობლად.

1. დამოკიდებულნი წინადადებანი შემოკლდებიან ამგვარად:

ან ჩამოიცილიან კავშირს, რომლის ძალითაც ისინი თავი წინადადებას უერთდებიან, ან წინადადებაში ზმნა ზმნიდგან ნაწარმოებზედ შედშესრულად იქცევა, ან და უბრალო ამხსნელ სიტყვების სახეს იიღებენ.

შენიშნვა. ა. როდესაც დამოკიდებული წინადადება კავშირს ჩამოიცილის, მაშინ მის წინ მძიმე საჭირო აღარ არის.

ბ. როდესაც დამოკიდებულ წინადადებაში ზმნა შედშესრულად გარდაიქცევა, მაშინ შემოკლებული წინადადება მძიმეებში უნდა იყოს.

გ. როდესაც დამოკიდებული წინადადება უბრალო ამხსნელ სიტყვებზედ იქცევა, მაშინ მძიმეები აღარ უნდა.

მტიმოლოგია

სიტყვის ნაწილები

არსებითი სახელი

ხად მთანა ყინვის გვირგვინით არიან ცადმდე
ასულნი
და მდინარენი სახელით ზვირთის ზვირთებზედ
მსროლენი...

საქართველს მეფემ ბაგრატ მესამემ აღაგო ქუ-
თაისში ღვთის-მშობლის ტაძარი.

ხე ხილისგან, ხილი ხისგან, ნათქვამია, იცნობება.

1. არსებითი სახელი არის ისეთი ცვალებ-
ადი სიტყვის ნაწილი, რომელიც გვიჩვენებს ყოველ-
გვარ საგნების სახელს.

2. არსებითი სახელი მიუგებს შემდეგს კითხვებ-
ზედ: ვინ? რა? ვისი? რის? ვის? რას? რამ? რით?
რად?

საგნების დაყოფა

საგნები განიყოფებიან:

ა. გრძნობითი საგანი.

ბ. განყენებითი საგანი.

გრძნობითი საგანი არის ისეთი საგანი, რომელსაც განვიცდით ანუ გავიცნობთ ჩვენის ხუთის გრძნობით,—მაგ. ხე, სახლი, მთა, მდინარე, კაცი, კალამი, ქვა, საწერელი, დანა და სხვ.

განყენებითი საგანი არის ისეთი საგანი, რომელსაც მხოლოდ გონებაში წარმოვიდგენთ,—მაგ. მხიარულება, ბედნიერება, სინდისი, მწუხარება, მოთმინება, განგება, ზნეობა, ზარმაცობა, ბეჯითობა და სხვ.

გრძნობითის საგნების დაყოფა

გრძნობითი საგნები არიან:

ა. სულიერი საგანი

ბ. უსულო საგანი

სულიერი საგანი არის ისეთი საგანი, რომელსაც თავის ნებაზედ შეუძლია მოძრაობა,—მაგ. კაცი, ლომი, ვეფხვი, კატა, ძაღლი, ცხენი, თაგვი, პეპელა, ბუზი და სხვ.

უსულო საგანი არის ისეთი საგანი, რომელსაც თავის თავად არავითარი მოძრაობა არ შეუძ-

ლია, — მაგ. ქვა, მიწა, სე, კალამი, წიგნი, საწერელი, ქალაქი და სხვ.

არსებით სახელის დაყოფა

არსებითი სახელნი არიან:

- ა. საკუთრებითი არსებითი სახელი.
- ბ. საზოგადო არსებითი სახელი.
- გ. შემკრებლობითი არსებითი სახელი.

საკუთრებითი არსებითი სახელი

პრტაანი, ზორი, მცხეთა და ტფილისი სძევან მტკვარზედ, — მნი, ძუთაისი და შოთი რიონზედ. სიონი ჯვარი-მამა, მეტეხი, ბეთლემი, მამა-დავით და ანჩისხატი უძველეს ეკლესიებად ითვლებიან ტფილისში. ნარიყალა, შურის-ციხე და მეტეხის-ციხე არიან ტფილისში უძველესი ციხეები. მრეკლე იყო საქართველოს უკეთესი გმირი.

1. საკუთრებითი არსებითი სახელი გვიჩვენებს საგნის საკუთარს სახელს.

საზოგადო არსებითი სახელი

შეირვა მიწა, შეირვა ზენა

ბხელმა მოიწვა ცა და ქვეყანა.

შთან და ბაწნი დასქდნენ, დაირღვნენ,

ზღვა ებძვის ნავსა, ქანი აფრასა

ხევი ხევის მისდებს, გელი ეელს, გორი გორს
გადაჭსლართვიან.

გაჭკვეთე ქანი, გააზე წყალი, გარდაიარე კლდენი
და ღრენი.

1. საზოგადო არსებითი სახელი გვიჩვენებს ერთგვარ საგნების საერთო სახელს.

შემკრებლობითი არსებითი სახელი

ტყეს ესხმება ფოთოლი. შეკრება დიდუბეს ლა-
შქანი

ნახარი მოდის. მთაზედ ფანა გაიშალა.

შაქშან დიდძალი ჯოგი მორეკეს გახეთიდგან.

გუნდნი და გუნდნი ვაყუკატოა სჩანან მამულის
მიჯარველნი

1. შემკრებლობითი არსებითი სახელი გვიჩვენებს ერთგვარ საგნების კრებას.

მხოლოობითი და მრავლობითი რიცხვი

რიცხვი არის ორი: მხოლოობითი და მრავლობითი.

მხოლოობითი რიცხვი იხმარება მაშინ, როდესაც ლაპარაკი ერთს საგანზედ არის და მრავლო-

ბითი რიცხვი მაშინ, როდესაც ლაპარაკი ო რ ს ა ნ
ბ ე ვ რ ს საგანზედ არის.

არსებითი სახელნი, რომელნიც იხმარებიან მხოლოდობით
რიცხვში:

ა. საკუთრებითი არსებითი სახელი.

ბ. ფხვიერი საგანი: ფქვილი, ქვიშა, სილა და სხვ.

გ. ისეთი საგანი, რომელიც მრავალ ერთგვარ საგნებიდ-
გან არის შემდგარი, ასე რომ, ურიცხვ ნაწილებადაც რომ დაი-
ყოს, მაინც არ ჰკარგავს წინანდელს სახელს,—მაგ. ოქრო,
ვერცხლი, სპილენძი, ტყვია, კალა, ალი,
წყალი, ცეცხლი და სხვ..

კანკლედობა და ბრუნვა

ბ რ უ ნ ვ ა		მხოლ. რიცხ.	მრავლ. რიცხვი
1	სახელობითი	სახლ-ი	სახლ-ებ-ი
2	ნათესაობითი	სახლ-ის (ა)	სახლ-ებ-ის (ა)
3	მიცემითი	სახლ-ს (ა)	სახლ-ებ-ს (ა)
4	ძოთხრობითი	სახლ-მა (ბ)	სახლ-ებ-მა (ბ)
5	ძოქმედებითი	სახლ-ით (ა)	სახლ-ებ-ით (ა)
6	განვითარებითი	სახლ-ად (ა)	სახლ-ებ-ად (ა)
7	წოდებითი	სახლ-ა	სახლ-ებ-ა

1. სიტყვის დაბოლოების ცვალება არის ბ რ უ ნ-
ვა. ბრუნვის შემწეობით ვგებულობთ სიტყვის და-
ბოლოებულებას წინადადებაში.

2. სიტყვის დაბოლოება ბრუნვებზედ და რიცხვში არის კანკლელობა.

3. ძართულს ენას აქვს შვიდი ბრუნვა.

ა. სახელობითი ბრუნვა, რომელიც მიუგებს კითხვებზედ: ვინ? რა?

ბ. ნათესაობითი ბრუნვა, რომელიც მიუგებს კითხვებზედ: ვისი? რის?

გ. მიცემითი ბრუნვა, რომელიც მიუგებს კითხვებზედ: ვის? რას?

დ. მოთხოვითი ბრუნვა, რომელიც მიუგებს კითხვებზედ: ვინ? რა?

ე. ბანვითარებითი ბრუნვა, რომელიც მიუგებს კითხვაზედ რად?

ზ. წოდებითი ბრუნვა, რომელიც ხშირად სახელობით ბრუნვას ჰგავს, მაგრამ ზოგჯერ თავისი საკუთარი დაბოლოებაც აქვს.

იმ არსებით სახელების კანკლელობა, რომელნიც დაბოლოვდებიან შემდეგს ასოებზედ: ი, ბ, ზ, თ, ძ, ნ.

მ ს ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

1	სახ.	დედოფალ-ი	ლუარსაბ
2	ნათ.	დედოფალ-ის (ა)	ლუარსაბ-ის (ა)
3	მიც.	დედოფალ-ს (ა)	ლუარსაბ-ს (ა)
4	მოთ.	დედოფალ-მა (ბ)	ლუარსაბ-მა (ბ)
5	ძმქ.	დედოფალ-ით (ა)	ლუარსაბ-ით (ა)
6	გან.	დედოფალ-ად (ა)	ლუარსაბ-ად (ა)
7	წოდ.	დედოფალ-ო	ლუარსაბ

მ ზ ა კ ლ ე ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

	წინკეული დაბოლოება	მეორე დაბოლოება
სახ.	დედოფლ-ებ-ი	დედოფალ-ნ-ი
ნათ.	დედოფლ-ებ-ის (ა)	დედოფალ-თ (ა)
მატ.	დედოფლ-ებ-ს (ა)	დედოფალ-თ (ა)
მათ.	დედოფლ-ებ-მა (ს)	დედოფალ-თ (ა)
მოქ.	დედოფლ-ებ-ით (ა)	—
გან.	დედოფლ-ებ-ად (ა)	—
წოდ.	დედოფლ-ებ-თ	დედოფალ-ნ-თ

1. საკუთრებითს არსებითს სახელს მრავლობითი რიცხვი არ აქვს.

2. სიტყვები, რომელნიც დაბოლოვდებიან ბ, ზ, თ, მ, ნ-ზედ, ყველა ბრუნვების დაბოლოებას პირდაპირ მიიღებენ.

3. სიტყვები, რომელნიც დაბოლოვდებიან ი-ზედ, მოიკეცენ ამ დაბოლოებას და ისე მიიღებენ დანარჩენ ბრუნვების დაბოლოებას.

შენიშნვა. ზოგიერთი არსებითი სახელი ამ კანონს არ ემორჩილება: გიორგი, ირაკლი მოთბრობით ბრუნვაში პირდაპირ მიიღებენ დაბოლოებას მ,-მაგ. გიორგი-მ ირაკლი-მ და მიცემითს ბრუნვაში ჰგავან ნათესობითს ბრუნვას,-მაგ. გიორგი-ის რაკლ-ის და არა გიორგ-ს, ირაკლ-ს.

მრავლობით რიცხვის პირველი დაბოლოება

სიტყვები, რომელნიც დაბოლოვდებიან **ი-ზედ**, მოიკვეცენ ამ დაბოლოებას და ისე მიიღებენ ჯერ მრავლობით რიცხვის ნიშანს **შ** და დასასრულ დაბოლოებას **ი**. ამგვარად მელებული სიტყვები იკანკლედებიან აღნიშნულ კანონის ძალით.

მრავლობით რიცხვის მეორე დაბოლოება

ბოლო მოკვეცილ სიტყვას მიემატება მრავლობით რიცხვის ნიშანი **ნ** და შემდეგ დაბოლოება. ეს იქნება სახელობითი ბრუნვა. ნათესაობით ბრუნვაში, მიცემითში და მოთხრობითში მრავლობით რიცხვის ნიშნად მიიღებს ასოს **თ**. მოქმედებითი და განვითარებით ბრუნვა არ აქვს. წოდებით ბრუნვაში ბოლო მოკვეცილ სიტყვას ჯერ მრავლობით რიცხვის ნიშანი **ნ** მიემატება და დასასრულ წოდებით ბრუნვის ნიშანი **ლ**.

მარჯიშობა. შემდეგის სიტყვების კანკლდება: კ ა ც ი, კ ა ლ ა მ ი, ს ა ნ თ ე ლ ი, ს ა წ ე რ ე ლ ი, წ ი გ ნ ი, ს ა ვ ა რ ც ხ ე ლ ი, ლ ო გ ი ნ ი, ს ა ა თ ი, ქ ა ლ ა ლ დ ი, ს ა ფ ე ნ ი, ც ხ ე ნ ი, ს ა ვ ა რ ძ ე ლ ი, ვ ა რ ც ლ ი, ხ ვ ი მ ი რ ი, ა რ ქ ი, ღ ე რ ძ ი, ბ ო რ ბ ა ლ ი, უ რ ე მ ი, მ ო რ გ ვ ი, ლ ა რ თ ხ ი, ნ ი კ ო ლ ო ზ, რ ა მ ა ზ, რ ე ვ ა ზ, ფ ა რ ნ ა ვ ა ზ, ზ უ რ ა ბ, მ ა რ ი ა მ; ს ი მ ო ნ, დ ა ე ი თ.

იმ აწესებით სახელების კანკლედობა, რომელ-
ნიც დაბოლოვდებიან ა-ზედ

მ ხ ლ რ ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

სახ.	მამ-ა	საზოგადოება
ნათ.	მამ-ის (ა) <i>ქუჩა</i>	საზოგადოების (ა)
მიც.	მამ-ა-ს (ა)	საზოგადოება-ს (ა)
მოთ.	მამ-ა-ში (ან)	საზოგადოება-ს-ში (ან)
მოქ.	მამ-ით (ა)	საზოგადოება-ით (ა)
განვ.	მამ-ა-დ (ა)	საზოგადოება-დ (ა)
წ.	მამ-ა-ლ, გ.	საზოგადოება-ს-ლ, გ.

მ რ ა კ ლ რ ბ ი თ რ ი ც ხ ვ ი

	ბიწკული დაბოლოება	მეორე დაბოლოება	
სახ.	მამ-ებ-ი	მამა-ნ-ი	საზოგადოება-ნ-ი
ნათ.	მამ-ებ-ის (ა)	მამა-თ (ა)	საზოგადოება-თ (ა)
მიც.	მამ-ებ-ს (ა)	მამა-თ (ა)	საზოგადოება-თ (ა)
მოთ.	მამ-ებ-მა (ბ)	მამა-თ (ა)	საზოგადოება-თ (ა)
მოქ.	მამ-ებ-ით (ა)	—	—
განვ.	მამ-ებ-ად (ა)	—	—
წოდ.	მამ-ებ-ლ	მამა-ნ-ლ	საზოგადოება-ნ-ლ

1. სიტყვები, რომელნიც დაბოლოვდებიან **ა-ზედ**, მიცემით ბრუნვაში, მოთხრობითში და წოდებითში პირდაპირ მიიღებენ ბრუნვის დაბოლოებას.

2. მოთხრობით ბრუნვაში, კეთილ ხმოვანებისთვის, მიიღებენ შემოკლებულს დაბოლოებას **მ**, რადგან მას წინად უძღვის ხმოვანი ასო.

წოდებით ბრუნვაში აქვსთ დაბოლოება **მ** და **მ**. ზოგჯერ სახელობითს ბრუნვას ჰკავს.

1. სიტყვები, რომელნიც დაბოლოვდებიან **მბა-ზედ**, მრავლობით რიცხვის პირველ დაბოლოებით არ იხმარებიან.

2. სიტყვები, რომელნიც დაბოლოვდებიან **ა-ზედ**, იკანკლედებიან მრავლობით რიცხვის პირველ დაბოლოებით ისე, როგორც **კ ა ც ი, ვ ა ქ ი, ს ა ხ ლ ი** და **სხვ.** მრავლობით რიცხვის მეორე დაბოლოებას კი პირდაპირ მიიღებენ. მაშორიცხვის მხოლოდ სიტყვა **მ ე ლ ა**, რომელიც მრავლობით რიცხვის მეორე დაბოლოებაში იქნება **მ ე ლ -ნ-ი** და არა **მ ე ლ ა-ნ-ი**.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა. ამ კანონს არ ემორჩილებიან შემდეგი სიტყვები: **მ ა რ თ ა, მ ა ტ რ ა ნ ა, მ ა რ გ ა რ ი ტ ა**, რომელნიც ნათესაობით ბრუნვაში პირდაპირ მიიღებენ დაბოლოებას **ს (ი)**,—მაგ. **მ არ გ არ ი ტ ა - ს (ი)** მერიდება და მოქმედების ბრუნვაში **თ ი**,—მაგ. **მ არ გ არ ი ტ ა - თ ი** და **სხვ.**

ვ ა რ ჯ ი შ ო ბ ა. შემდეგის სიტყვების კანკლედობა: **დ ე ღ ა, დ ა, ბ ი ძ ა, მ ა მ ი დ ა, დ ა ნ ა, ფ ა ნ ჯ ა რ ა, ყ ა ნ ა, თ მ ა, კ ა ტ ა, ც ა, წ ი ნ დ ა, წ ა ღ ა, მ ა გ ი დ ა, ქ ა, ფ ე ლ ა, მ თ ა, რ ც ხ ი ღ ა.**

იმ არსებით სახელების კანკლედობა, რომელნიც დაბოლოვდებიან ე-ზედ.

მხლ. რიცხ.	ძრავლობითი რიცხვი		
	პირვ. დაბოლ.	მეორე დაბოლ.	
სახ.	ს-ე	სე-ებ-ი	სე ნ-ი
ნათ.	ს-ის (ა)	სე-ებ-ის (ა)	სე-თ (ა)
მიც.	ს-ე-ს (ა)	სე-ებ-ს (ა)	სე-თ (ა)
ძლთ.	ს-ე-მ (ან)	სე-ებ-მა (ნ)	სე თ (ა)
ძლქ.	ს-ით (ა)	სე-ებ-ით (ა)	—
გან.	ს-ე-დ (ა)	სე-ებ-ად (ა)	—
წოდ.	ს-ე-ო, ჟ.	სე-ებ-ო	სე-ნ-ო

1. სიტყვები, რომელნიც დაბოლოვდებიან ე-ზედ, მიცემით ბრუნვაში, მოთხრობითში, განვითარებითში და წოდებითში პირდაპირ მიიღებენ თავიანთ ბრუნვების დაბოლოებას. მოთხრობით ბრუნვაში, კეთილ-ხმოვანებისთვის, მიიღებენ შემოკლებულს დაბოლოებას მ, რადგან მას წინაუძღვის ხმოვანი ასო. ნათესაობით ბრუნვაში კი ბოლო მოკვეცილ სიტყვას მიემატება ნათესაობით ბრუნვის დაბოლოება.

მრავლობითს რიცხვში ორავე დაბოლოებას პირდაპირ მიიღებენ.

უ ე ნ ი შ ნ ვ ა. ამ კანონს არ ემორჩილებიან სიტყვები: პ ე ტ რ ე, ი ვ ა ნ ე, რომელნიც ნათესაობით ბრუნვაში პირდა-

პირ მიიღებენ დაბოლოებას ს (ი) და მოქმედებითს ბრუნვაში თ ი,
—მაგ. პეტრე-ს (ი), პეტრე-თ ი.

ვ ა რ ჯ ი შ ო ბ ა. შემდეგის სიტყვების კან-
კლედობა: ტ ყ ე, მ დ ი ნ ა რ ე, ც ი ხ ე, ს ა ხ ე,
ც ა ხ ე, მ თ ვ ა რ ე, მ ზ ე, კ ლ დ ე, ზ ლ უ დ ე.

იმ აწსებით სასელები კანკლედობა, რომელ-
ნიც დაბოლოვდებიან ო-ზედ და უ-ზედ.

მხ. რიცხ.		ძნაკლობათი რიცხვი	
		პირვე. დაბოლ.	მეორე დაბ.
სახ.	სარ-ო	სარო-ებ-ი	სარო-ნ-ი
ნათ.	სარ-ო-ს (ი)	სარო-ებ-ის (ა)	სარო-თ (ა)
მიც.	სარ-ო-ს (ა)	სარო-ებ-ს (ა)	სარო-თ (ა)
მთთ.	სარ-ო-მ (ახ)	სარო-ებ-მა (ხ)	სარო-თ (ა)
მოქ.	სარ-ო-თი	სარო-ებ-ით (ა)	—
გან.	სარ-ო-დ (ა)	სარო-ებ-ად (ა)	—
წოდ.	სარ-ო-ო, გ.	სარო-ებ-ო	სარო-ნ-ო

1. სიტყვები, რომელნიც დაბოლოვდებიან ო-
ზედ, ყველა ბრუნვების დაბოლოებას პირდაპირ
მიიღებენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მოქმე-
დებითს ბრუნვაში დაბოლოებად აქვსთ თი და ნა-
თესაობით ბრუნვაში ს (ი).

2. მრავლობით რიცხვში ორივე დაბოლოებას
პირდაპირ მიიღებენ.

3. ამგვარადვე იკანკლედებიან ის სიტყვებიც, რომელნიც დაბოლოვდებიან უ-ზედ.

უ ე ნ ი შ ნ ვ ა. ამ კანონს არ ემორჩილება სიტყვა ღ ვ ი ნ ო, რომელიც დანარჩენს ბრუნვებში ისე იხმარება, როგორც ქ ა ლ ა ლ დ ი, კ ა ლ ა მ ი, მაგრამ მხოლოდ მხოლოდობით რიცხვში. მრავლობით რიცხვში კი ო-ს და უ-ს დაბოლოებას ემორჩილება.

ვ ა რ ჯ ი შ ო ბ ა. შემდეგის სიტყვების კანკლედობა: ო რ მ ო, თ ა რ ო, ბ უ, ს უ რ ო, ხ უ რ ო, ო ქ რ ო, კ უ, ს უ რ დ ო, ს ა ხ ე ლ ო, მ უ დ ო.



იმ არსებით სახელებს კანკლდობა, რომელნიც კარეკანას
 შესეღულობით ერთი და იკვეპ არიან, მაგრამ მნიშვნელობით კი სხვა
 და სხვა:

1. თვალი (მხედველობის ორგანო) 2. თვალი (ძვირფასი ქვა) 3.
 კვალი (ფეხის ნაშთი) 4. კვალი (ბოსტნის) 5. წელი (სხეულის) 6. წე-
 ლი (წელიწადი).

	მ	ს	ა	ლ	ა	ბ	ი	თ	ი	ც	ხ	კ	ი
სას.	1. თვალ-ი	2. თვალ-ი	3. კვალ-ი	4. კვალ-ი	5. წელ-ი	6. წელ-ი							
ნათ.	თვალ-ის (ს)	თვალ-ის (ს)	კვალ-ის (ს)	კვალ-ის (ს)	წელ-ის (ს)	წელ-ის (ს)							
მიტ.	თვალ-ს (ხ)	თვალ-ს (ს)	კვალ-ს (ს)	კვალ-ს (ს)	წელ-ს (ს)	წელ-ს (ს)							
მთ.	თვალ-მს (ნ)	თვალ-მს (ნ)	კვალ-მა (ნ)	კვალ-მა (ნ)	წელ-მს (ნ)	წელ-მს (ნ)							
მოქ.	თვალ-ით (ს)	თვალ-ით (ს)	კვალ-ით (ს)	კვალ-ით (ს)	წელ-ით (ს)	წელ-ით (ს)							
გან.	თვალ-ად (ს)	თვალ-ად (ს)	კვალ-ად (ს)	კვალ-ად (ს)	წელ-ად (ს)	წელ-ად (ს)							
წოდ.	თვალ-ა	თვალ-ა	კვალ-ა	კვალ-ა	წელ-ა	წელ-ა							

მისაგულაობით რიცხვის ზიერკული დაბეღლუება

სახ.	1. თვალ-ებ-ი	2. თვალ-ებ-ი	3. კვალ-ებ-ი	4. კვალ-ებ-ი	5. წელ-ებ-ი	6. წელ-ებ-ი
ნათ.	თვალ-ებ-ის(ს)	თვალ-ებ-ის(ს)	კვალ-ებ-ის(ს)	კვალ-ებ-ის(ს)	წელ-ებ-ის(ს)	წელ-ებ-ის(ს)
მეტ.	თვალ-ებ-ს(ს)	თვალ-ებ-ს(ს)	კვალ-ებ-ს(ს)	კვალ-ებ-ს(ს)	წელ-ებ-ს(ს)	წელ-ებ-ს(ს)
მოს.	თვალ-ებ-მა(ს)	თვალ-ებ-მა(ს)	კვალ-ებ-მა(ს)	კვალ-ებ-მა(ს)	წელ-ებ-მა(ს)	წელ-ებ-მა(ს)
მთქ.	თვალ-ებ-ით(ს)	თვალ-ებ-ით(ს)	კვალ-ებ-ით(ს)	კვალ-ებ-ით(ს)	წელ-ებ-ით(ს)	წელ-ებ-ით(ს)
კან.	თვალ-ებ-ად(ს)	თვალ-ებ-ად(ს)	კვალ-ებ-ად(ს)	კვალ-ებ-ად(ს)	წელ-ებ-ად(ს)	წელ-ებ-ად(ს)
წოდ.	თვალ-ებ-ლ	თვალ-ებ-ლ	კვალ-ებ-ლ	კვალ-ებ-ლ	წელ-ებ-ლ	წელ-ებ-ლ

მისაგულაობით რიცხვის მერკული დაბეღლუება

სახ.	1. თვალ-ნ-ი	2. თვალ-თ(ს)	3. კვალ-ნ-ი	4. კვალ-ნ-ი	5. წელ-ნ-ი	6. წელ-ნ-ი
ნათ.	თვალ-თ(ს)	თვალ-თ(ს)	კვალ-თ(ს)	კვალ-თ(ს)	წელ-თ(ს)	წელ-თ(ს)
მეტ.	თვალ-თ(ს)	თვალ-თ(ს)	კვალ-თ(ს)	კვალ-თ(ს)	წელ-თ(ს)	წელ-თ(ს)
მოს.	თვალ-თ(ს)	თვალ-თ(ს)	კვალ-თ(ს)	კვალ-თ(ს)	წელ-თ(ს)	წელ-თ(ს)
მთქ.	---	---	---	---	---	---
ნახ.	---	---	---	---	---	---
წოდ.	თვალ-ნ-ლ	თვალ-ნ-ლ	კვალ-ნ-ლ	კვალ-ნ-ლ	წელ-ნ-ლ	წელ-ნ-ლ

მ ს ლ ლ ლ ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

სსს.	ღმეწთ-ი	ხუცეს-ი
ნათ.	ღმეწთ-ის (ს), ღვთ-ის (ს)	ხუც-ის (ს)
მიც.	ღმეწთ-ს (ს)	ხუცეს-ს (ს)
მართ.	ღმეწთ-მს (ბ)	ხუცეს-მს (ბ)
მრქ.	ღმეწთ-ით (ს) ღვთ-ით (ს)	ხუც-ით (ს)
განვ.	ღმეწთ-ად (ს), ღვთ-ად (ს)	ხუც-ად (ს)
წ.	ღმეწთ-ლ	ხუცეს-ლ

მ რ ა ვ ლ ლ ბ ი თ რ ი ც ხ ვ ი

პირველ დაბეჭდვებს		მეორე დაბეჭდვებს	
სსს.	„	ხუც ებ-ი	ღმეწთ-ნ-ი ხუცეს-ნ-ი
ნათ.	„	ხუც-ებ-ის (ს)	ღმეწთ-თ(ა) ხუცეს-თ (ს)
მიც.	„	ხუც-ებ-ს (ს)	ღმეწთ-თ(ა) ხუცეს-თ (ს)
მართ.	„	ხუც-ებ-მს(ბ)	ღმეწთ-თ(ა) ხუცეს-თ (ს)
მრქ.	„	ხუც-ებ-ით(ს)	„ „
განვ.	„	ხუც-ებ-ად(ს)	„ „
წოდ.	„	ხუც-ებ-ლ	ღმეწთ-ნ-ლ ხუცეს-ნ-ლ

სახ.	ვასტანგ	გორგასლან-ი
ნათ.	ვასტანგ	გორგასლან-ის (ს)
მიც.	ვასტანგ	გორგასლან-ს (ს)
მოთ.	ვასტანგ	გორგასლან-მა (ნ)
მოქ.	ვასტანგ	გორგასლან-ით (ს)
გან.	ვასტანგ	გორგასლან-ად (ს)
წოდ.	ვასტანგ	გორგასლან-ო

1. თუ არსებითს სახელს თან მიჰყვება სიტყვა, რომელიც მისის ღირსების, ან ღიდების ან რამე წოდების გამომხატველია, — მაშინ აკანკლედება მხოლოდ უკანასკნელი სიტყვა და პირველი კი უცვლელად რჩება ყველა ბრუნვებში.

რთულ სიტყვის კანკლედობა

მს. რიცხ.		მრავლობითი რიცხვი	
		შირვ. დაბოლ.	მეორე დაბ.
სახ.	ვაჟ-ვატ-ი	ვაჟ-ვატ-ებ-ი	ვაჟ-ვატ-ნ-ი
ნათ.	ვაჟ-ვატ-ის (ს)	ვაჟ-ვატ-ებ-ის (ს)	ვაჟ-ვატ-თ (ს)
მიც.	ვაჟ-ვატ-ს (ს)	ვაჟ-ვატ-ებ-ს (ს)	ვაჟ-ვატ-თ (ს)
მოთ.	ვაჟ-ვატ-მა (ნ)	ვაჟ-ვატ-ებ-მა (ნ)	ვაჟ-ვატ-თ (ს)
მოქ.	ვაჟ-ვატ-ით (ს)	ვაჟ-ვატ-ებ-ით (ს)	„
გან.	ვაჟ-ვატ-ად (ს)	ვაჟ-ვატ-ებ-ად (ს)	„
წოდ.	ვაჟ-ვატ-ო	ვაჟ-ვატ-ებ-ო	ვაჟ-ვატ-ნ-ო

1. რთული სიტყვა იკანკლედება ისე, როგორც სხვა სიტყვა. რთულ სიტყვის შუა ცნდა ხაზი (—)

1. თუ ორი არსებითი სახელი ზის და მათ შუა არ არის კავშირი „და“, მაშინ დამოკიდებული არსებითი სახელი დაისმება ნათესაობითს ბრუნვაში და დამოკიდებელი კი რჩება სახელობითს ბრუნვაში. ძანკლედობის დროს დამოკიდებული სიტყვა ორივე რიცხვში ნათესაობით ბრუნვაში რჩება და დამოკიდებელი სიტყვა კი იკანკლედება. ცნობილის წესით,—მაგ.

ხახ. კაცის გონებს; ნათ. კაცის გონების (ა), მიც. კაცის გონება-ს (ა); მოთ. კაცის გონებამ (ან)

მოქ. კაცის გონებ-ათ (ა). გან. კაცის გონებ-ბად (ა); წოდ. კაცის გონება-ო, ვ.

არსებითი სახელი ქვემდებარედ

ტაშტი გატუდა, ხმა გაკარდა. მოვიდა სეტყვა დასკდა ქვა.

გიგოს აქვს წიგნი

ლეკანს ჰყავს კარგი ცხენი.

მოსუმ კვერთხით ზღვა გააზო.

დათვიმ მუცადინეობით თავისი საქმე გაასწორა.

1. აჩსებიითი სასკელი სხვა და სხვა დროს შეთ-
ქლებს იუოს ქვემდებარედ სასკელობითს ბრუნვასში, მი-
ცემითს ბრუნვასში და მოთხრობითს ბრუნვასში.

უენიუნვა. ბუნებ-ითი, ცხენ-იანი, ცხენ-ოსანი, ურ-ული,
მეფ-ური, ღვთაებ-რივი, ქვეენ-იერი, მცხეთ-ელი, სა-
გატ-ე, კატ-ადი, ცვალებ-ადი, ბაგრატ-ოვანი.

არსებით სახელისაგან შეიძლება მივიღოთ ზედ შესრული
შემდეგის წესით: ან ძირითად სიტყვას მიემატებიან ზემო აღნი-
შნულნი ელემენტნი, როგორც ნაჩვენებია, ან და მოეკვეცება
არსებით სიტყვას ბრუნვის დაბოლოება და ისე მიიღებს მისდა
შესაფარდებელს ელემენტს: ეს ელემენტნი არიან: ითი, იანი,
ოსანი, ული, ური, რივი, იერი, ელი, სა—ე, ადი,
ოვანი. და სხვ.

ზედმესრული სახელი

საწყვადი მეღა ჭიოდდა.

ეს ზატანა საქართველო ჯანსაგით დატრიალდა.
სრმაღსედ უფრო ძლიერად სჭრის ზატანა და
რბილი ენა.

ზაია ყვითელი ყვავილია.

ყაყახი წითელი ყვავილია,
გაზაფხულსედ კვირტიდგან მწვანე ფოთოლი გა-
მართოთქება.

თოჯლი თეთრი სხეულია.

ნახშირი შავი სხეულია.

კანგი კაცი და ცუდი კაცი აწავის არ გაუსწო-
რებია.

იმ უსამართლო ბუნებამ თავკად რად გამაჩინა?
უგუნური ბოკში თვითონ წახდენს თავის საქმეს.
ქართლში იტყან მიწური სახლი, კახეთში და იმე-
რეთში ფიცრული სახლი.

ძამ დას ძმური სიტყვა უიხრს.

შენ აქაური ამბავი მითხარი და მე იქაურს გე-
ტყვი.

დღევანდელი დღე ჩემთვის ძვირად ღირს.

ფუთიანი ქვა მეტს იწონის, ვინემ გირვანქი-
ნი ქვა.

აწიანი სამიანი ბანქოს ქაღალდები აწიან.

თამარი სახელოვანი მეფე იყო.

ცხენოსანი კაცი მოჭირის.

წვადი ააგო ცგრიანი.

კაცს ღვთაებრივი სასე აქვს.

ზოგ კაცს უკუდმართული ქცევა აქვს.

კაცი ქვეყნიერი არსებაა. გუშინ ჩემთან მცხეთე-
ლი გლეხი იყო.

ბედნიერება არის განუენებითი საგანი.

კაცი ცვალებადი საგანია, იალბუზის მთაზედ ბეკ-
რი საყინულე ადგილები არის.

გიგომ და სოსომ სამომ მამული გაიუგეს და სა-
ყმომ მამული გლეხებს აჩუქეს.

ზოგს დაწერილი ქალადი მოსწონს და ზოგს
დაუწერელი.

ზოგს მწერალი სძულს და მჯდაბნეველი ეა
უეკარს.

ქართველობას ნაწერი წიგნები თუმცა ბეკრი აქვს,
მაგრამ მასთან საწერიც ბეკრია.

კარგი კაცი მამაბაბუელს ქონებას არ გაჭყიდის.

1. ზედშესრული სახელი არის ისეთი
ცვალებადი სიტყვის ნაწილი, რომელიც გვიჩვენებს
საგნის ვითარებას, ესე იგი, როგორია საგანი, ან
რის მექონია.

ზედშესრულნი სახელნი არიან:

ა. ვითარებითი ზედშესრული სახე-
ლი ბ. დამოკადებითი ზედშესრული სა-
ხელი.

ა. ვითარებითი ზედშესრული სახელი გვიჩვენებს თუ, როგორია საგანი, — მაგ. წითელი, ყვითელი, შავი, ლურჯი, მწვანე, თეთრი და სხ.

ბ. დამოკიდებითი ზედშესრული სახელი გვიჩვენებს:

1. რა მასალისგან არის შედგენილი საგანი, — მაგ. შიკრული სახლი; 2. შეეხება დროს, მაგ. გუშინდელი დღე; 3. შეეხება ადგილს, — მაგ. აქაური ჰავა; 4. შეეხება ზოძას, — მაგ. აღლიანი ჯოხი; 5. შეეხება წონას, — მაგ. ფუთიანი ქვა; 6. შეეხება რიცხვს, — მაგ. ათიანი ქალაქი; 7. შეეხება ნაცვალ-სახელს, — მაგ. ჩვენებური კაცი, თქვენებური საჭმელი და სხვ.

ვითარებითი ზედშესრული სახელი მიუგებს კითხვაზედ: როგორი?

დამოკიდებითი ზედშესრული სახელი მიუგებს შემდეგს კითხვებზედ: როგორი? რამდენიანი? როდინდელი? სადაური?

ზედშესრულის ხარისხები

საგნის უვარგისობის ან უკეთესობის ღირსების გამოსახატველად ვითარებითს ზედშესრულს სახელს აქვს სამი ხარისხი:

ა. დადებითი ხარისხი, ბ. შედარებითი ხარისხი და გ. აღმატებითი ხარისხი.

დადებითი ხარისხი

ჯარდი მშვენიერი უკავილია.

მტკრული მშვიდი და უმანკო ფრინველია.

შავი ფლვა ჩვენს ქვეყნას დასაკლებთ უძვეს.

1. დადებითი ხარისხი გვიჩვენებს საგნის ვითარებას სხვა საგანთან შეუდარებლად.

შედარებითი ხარისხი

მდებარეობით ქუთაისი უმშვენიერესი ქალაქია კავკასიაში.

მე მკავს უმტრესი ძმა.

ჩვენში ესლა უფრო კარგი სწავლაა, მაგრამ ამა-ზედ ბევრად კარგი უნდა იყოს.

1. შედარებითი ხარისხი გვიჩვენებს საგნის ვითარებას სხვა საგანთან შედარებით.

უენი უნდა. შედარებითი ხარისხი მიიღება დადებით ხარისხიდან ამ გვარად: ბოლო მოკვეცილს ვითარებითს ზედ-შესრულის სახელს თავში მიემატება უ და ბოლოში ეს ი, ან ოსი, ან ძირ-სიტყვას თავში მიემატება უ და ბოლოში ეს ი (უ-ყო-ეს ი), ან პირდაპირ ეს ი (უმანკო-ეს ი);

აღმატებითი ხარისხი

უუ-მშკენიერ-ესი ქალაქი დედამიწის ზუგუნედ
ხარისხია.

უუ-გონიერ ესი არსებს ქვეყანაზედ კაცია.

— შიკრუტეებში მაიმუნი ეგელაზედ გონიერი ცხო-
ველია.

1. აღმატებითი ხარისხი გვიჩვენებს საგნის ვი-
თარებას სხვა საგანზედ გარდამეტებულად.

ა. ზოგს შემთხვევაში დადებითს ხარისხს პირ-
დაპირ მიემატება წინ. სიტყვები: ძლიერ, უფრო,
ერთობ, ფრიად, ძალიან და ისე გამოხატვენ
აღმატებით ხარისხს, — მაგ. უფრო ნიჭიერი პოე-
ტი საქართველოში იყო შოთა. მართობ მხნე
მეფე საქართველოში ვახტანგ-გორგასლანი იყო.
ფრიად სასიამოვნო ამბავი გავიგე დღეს.
ძლიერ ცუდი გზა გვიძევს წინ.

ბ. ზედშესრულნი: უაღრესი, უპირატე-
სი, გარდამეტებითი მხოლოდ აღმატებით ხა-
რისხში იხმარებიან.

შენიშნვა. აღმატებითი ხარისხი მიიღება დადებით ხა-
რისხიდან ამ გვარად: ბოლო მოკვეცილს ვითარებითს ზედშე-
სრულს სახელს თავში მიემატება. უე და პოლოში ესა.

დამოკიდებითს ზედშესრულს სახელს არ აქვს ხარისხები.

ზედშესრული სახელი იკანკლედება ისე, როგორც არსებითი სახელი.

მარჯიშობა. შემდეგის ზედშესრულ სახელების კანკლედობა: მშვიდი, წყნარი, წრფელი, ავი, ბორბოტი, ზარმაცი, ბეჯითი, კეთილი, ბრმა, ხუჭუჭა, მხნე, ბრგე, მოწყალე, ყრუ, ბლუ, დრკუ, უმანკო, საჭირო, უსამართლო, უღვთო, უწესო, ცრუ.

ზედშესრულ სახელის და არსებით სახელის შექსოვა

ზედშესრული სახელი ი-ს დაბოლოებით

მს. რიცხ.		მრავლობითი რიცხვი.	
		შირვ. დაბოლ.	მეორე დაბოლ.
სახ.	გეთილ-ი კაც-ი	გეთილ-ი კაც-ებ-ი	გეთ.-ნ-ი კაც-ნ-ი
ნათ.	გეთილ-ის (ა) კაც-ის (ა)	გეთილ-ის (ა) კაც-ებ-ის (ა)	გეთ.-თ (ა) კაც-თ (ა)
მიც.	გეთილ-ს (ა) კაც-ს (ა)	გეთილ-ს (ა) კაც-ებ-ს (ა)	გეთ.-თ (ა) კაც-თ (ა)
მოთ.	გეთილ-მა (ნ) კაც-მა (ნ)	გეთილ-მა (ნ) კაც-ებ-მა (ნ)	გეთ.-თ (ა) კაც-თ (ა)
მოქ.	გეთილ-ით (ა) კაც-ით (ა)	გეთილ-ით (ა) კაც-ებ-ით (ა)	— —
განვ.	გეთილ კაც-ად (ა)	გეთილ კაც-ებ-ად (ა)	— —
წოდ.	გეთილ-ო კაც-ო	გეთილ კაც-ებ-ო	გეთილ-ნო კაც-ნ-ო

1. ზედშესრული სახელი ი-ს დაბოლოებით შეექსოვება არსებითს სახელს მხოლოობითს რიცხვში სახელობითს ბრუნვაში, ნათესაობითს ბრუნვაში, მიცემითს ბრუნვაში, მოთხრობითს ბრუნვაში და წოდებითს ბრუნვაში. მანვითარებითს ბრუნვაში კი ზედშესრული სახელი ბოლო მოკვეცილი რჩება.

უენი უნვა. ზოგჯერ ზედშესრული სახელი, არსებით სახელთან შექსოვის დროს, მხოლოობით რიცხვის მოქმედებითს ბრუნვაში, კეთილ-ხმოვანებისთვის, ნათესაობით ბრუნვის დაბოლოებას მიიღებს, — მაგ. დიდ-ის სიამოვნებით აგასრულეს თქვენს თხოვნას.

2. მრავლობით რიცხვის პირველ დაბოლოებით იკანკლედება მხოლოდ არსებითი სახელი ზედშესრული სახელი კი მხოლოობით რიცხვის დაბოლოებით რჩება. მანვითარებითს ბრუნვაში და წოდებითს ბრუნვაში ზედშესრული სახელი ბოლო მოკვეცილი რჩება.

3. მრავლობით რიცხვის მეორე დაბოლოებაში პირდაპირ შეექსოვებიან, მხოლოდ არ აქვს მოქმედებითი და განვითარებითი ბრუნვა.

ზედშესრული სახელი ი-ს დაბოლოებით შეექსოვება არსებითს სახელს სხვა გვარადაც და მაშინ ორივე ერთად რთულ სიტყვის ხასიათს მიიღებენ როგორც მხოლოობითს რიცხვში, ისე მრავლობით რიცხვის პირველ დაბოლოებაში. მრავლობით რიცხვის მეორე დაბოლოებაში კი პირდაპირ შეექსოვება ზედშესრული სახელი არსებითს სახელს, — მაგ.

მს. წიგნ.	ძრავლობითი წიგნები		
	პირვ. დაბოლ.	შეორე დაბ.	
სახ.	ცუდ-ი კაც-ი	ცუდ-ი კაც-ებ-ი	ცუდ-ნ ი კაც-ნ-ი
წათ.	ცუდი კაც-ის (ა)	ცუდ კაც-ებ-ის (ა)	ცუდ-თ (ა) კაც-თ (ა)
შიც.	ცუდ კაც-ს (ა)	ცუდ კაც-ებ-ს (ა)	ცუდ-თ (ა) კაც-თ (ა)
ძოთ.	ცუდ ^ს კაც-მა (ბ)	ცუდ ^ს კაც-ებ-მა (ბ)	ცუდ-თ (ა) კაც-თ (ა)
ძოქ.	ცუდი კაც-ით (ა)	ცუდ ^ს კაც-ებ-ით (ა)	— —
გან.	ცუდ კაც-ად (ა)	ცუდ კაც-ებ-ად (ა)	— —
წოდ.	ცუდ ^ს კაც-ო	ცუდ ^ს კაც-ებ-ო	ცუდ-ნ-ო კაც-ნ-ო

ზედშესრულს სახელის და არსებით სახელის შექსოვა

ზედშესრული სახელი ა-ს დაბოლოებით

მს. წიგნ.	ძრავლობითი წიგნები		
	პირვ. დაბოლ.	შეორე დაბოლ.	
სახ.	ბრძა კაც-ი	ბრძა კაც-ებ-ი	ბრძა-ნ-ი კაც-ნ-ი
წათ.	ბრძა კაც-ის (ა)	ბრძა კაც-ებ-ის (ა)	ბრძა-თ (ა) კაც-თ (ა)
შიც.	ბრძა კაც-ს (ა)	ბრძა კაც-ებ-ს (ა)	ბრძა-თ (ა) კაც-თ (ა)
ძოთ.	ბრძა კაც-მა (ბ)	ბრძა კაც-ებ-მა (ბ)	ბრძა-თ (ა) კაც-თ (ა)
ძოქ.	ბრძა კაც-ით (ა)	ბრძა კაც-ებ-ით (ა)	— —
გან.	ბრძა კაც-ად (ა)	ბრძა კაც-ებ-ად (ა)	— —
წოდ.	ბრძა კაც-ო	ბრძა კაც-ებ-ო	ბრძა-ნ-ო კაც-ნ-ო

1. ზედშესრული სახელი, რომელიც დაბოლოვდება მხოლოდით რიცხვის სახელობით ბრუნვაში ა-ზედ, არსებით სახელთან შექსოვის დროს, უცვლელად რჩება მხოლოდითს და მრავლობით რიცხვის პირველ დაბოლოებაში და ზოგჯერ მრავლობით რიცხვის მეორე დაბოლოებაშიაც, — მაგ. სახ. ხუჭუჭა თმა-ნ-ი. ნათ. ხუჭუჭა თმა-თ-(ა); შიც. ხუჭუჭა თმა-თ (ა); მოთხ. ხუჭუჭა თმა-თ (ა); წოდ. ხუჭუჭა თმა-ნ-ო.

2. ამგვარადვე შეექსოვიან არსებითს სახელს ზედშესრულნი სახელნი, რომელნიც დაბოლოვდებიან ე-ზედ, ო-ზედ და უ-ზედ.

ზედშესრული სახელი ქვემდებარედ

ერთი მოვიდა

ბძმამ სამაწყალო ითხოვა.

ზარმაცს სძინავს.

1. ზედშესრული სახელი შეიძლება იყოს ქვემდებარედ სხვა და სხვა დროს სახელობითს ბრუნვაში, შიცემითს ბრუნვაში და მოთხრობითს ბრუნვაში.

არსებით სახელის წარმოება ზედ-
შესრულ სახელისგან.

სი კეთ-ე, მშენიერ-ება, ზრდილ-ობა, სი-მაღსაზ-ე,
მხნე-ობა, ცრუ-ობა.

ზედშესრულ სახელისგან შეგვიძლია მივიღოთ
არსებითი სახელი ამ გვარად: ბოლო მოგვეცილს ზედ-
შესრულს სახელს თავში მიემატება სი და ბოლოში ე,
ან მარტო ბოლოში ება ან ობა, ან მიჩ-სიტყვას
თავში მიემატება სი და ბოლოში ე (სი-კეთ-ე).

ნაცვალ-სახელი

ის (ზუზუბი) სოფელში წავიდა. შენ (გიორგი)
დღეს ჩემთან იქნები. მე (შალვა) ხვალ მცხეთისკენ მი-
ვიმგზავრები. ისინი, ივინი (არჩილ და ბიძინა) კარ-
გად სწავლობენ. თქვენ (როსტომ და ლუარსაბ) დღეს
გაგვეთილი არ იცოდით. ჩვენ (ვანო და სოსო) სკო-
ლაში მივდივართ. ეს წიგნი აქ იყოს. მაგ რვეულს არ
შეესო. ამ ვაცს შენი ნახვა უნდა. იმ ვაცს ჩვენთან
საქმე აქვს.

ჩვენ თვითონ ვიცით ჩენი საქმე.

ძოდი, ჩემო კალამო! დრო არს მოგესალამო.

სად ხარ, ჩემო სალამურო, ხმა ტკბილად და საა-
მურად?

1. ნაცვალ-სახელი არის ისეთი ცვალება-
დი სიტყვის ნაწილი, რომელიც იხმარება საგნის
სახელის ნაცვლად.

ნაცვალ-სახელნი არიან:

1. პირი ოვანი ნაცვალ-სახელი, რომე-
ლიც უჩვენებს რომელიმე პირის შაგიერს სახელს, —
მაგ. მე შენ, ის, იგი, ჩვენ, თქვენ, ისინი,
იგინი.

2. ძუთენილებითი ნაცვალ-სახელი,
რომელიც უჩვენებს თუ, ვის რომელი საგანი ეკუ-
თენის, — მაგ. ჩემი, შენი, იმისი, მისი, თვი-
სი, თავისი, ჩვენი, თქვენი, იმათი, მათი.

3. ჩვენებითი ნაცვალ-სახელი, რომ-
ელიც უთითებს საგანს და მის ვითარებას, —
ეს, ესე, ეგ, ეგე, აგი, მაგი, ამისთანა,
მაგისთანა, იმისთანა, ამგვარი, მაგგვარი,
იმგვარი, ასეთი, ისეთი, ამნაირი, მაგნაი-
რი, იმნაირი.

4. არსებითი ნაცვალ-სახელები:
ვინ, რა.

5. დამოკიდებითი ნაცვალ-სახელნი:
რომელი, როგორი, ვისი.

უენიუნვა დამოკიდებითი ნაცვალ-სახელი აერთებს თავ-წინადადებას დამოკიდებითს წინადადებასთან.

6. როდესაც არსებითი ნაცვალ-სახელი და დამოკიდებითი ნაცვალ-სახელი გამოხატვენ კითხვას, მაშინ ისინი გარდაიქცევიან კითხვით ნაცვალ-სახელებად.

7. საზღვრებითი ნაცვალ-სახელნი: თვით, თვითონ, თვითოეული, ყველა, ყოველი.

8. შანუსაზღვრებელნი ნაცვალ-სახელნი: ვინმე, რამე, ზოგი, რომელიმე, ვინღაც, რაღაც.

უენიუნვა განესაზღვრებელს ნაცვალ-სახელს ეკუთვნიან აგრეთვე უარ-ყოფითნი ნაცვალ-სახელნი: არავინ, არასფერი (არაფერი), არავითარი.

პიროვან ნაცვალ-სახელის კანკლედობა.

		მხალდაობ. რიცხვი				მრავალბითი რიცხვი			
სახ.	მე	შენ	ის	იგი	ჩვენ	თქვენ	ისინი	იგინი	—
ნათ.	ჩემი	შენი	იმ-ის (ა)	მის (ა)	ჩვენი	თქვენი	იმათი	მათი	—
მიტ.	მე	შენ	იმ-ს (ა)	მას-ს (ა)	ჩვენ	თქვენ	იმათ	მათ	—
მლთ.	მე	შენ	იმან	მას	ჩვენ	თქვენ	იმათ	მათ	—
მლქ.	ჩემ-ით(ა)	შენ-ით(ა)	იმ-ით(ა)	მით(ა)	ჩვენ-ით(ა)	თქვენ-ით(ა)	იმათ-ით(ა)	მათ-ით(ა)	—
გან.	ჩემ-ად(ა)	შენ-ად(ა)	იმ-ად(ა)	მად- (ა)	ჩვენ-ად(ა)	თქვენ-ად(ა)	—	—	—
მლდ.	—	შენ	—	—	—	თქვენ	—	—	—

უენიუნვა. ზოგ შემთხვევაში პიროვანნი ნაცვალ-
სახელნი ის და იგი ზედშესრულ სახელის ხასიათს მიიღებენ
და მაშინ განსხვავებულად იკანკლედებიან,—მაგ.

მს. რიცხ.		ძრავლობითი რიცხვი	
		პირვ. დაბოლ.	მეორე დაბ.
სახ.	ის, იგი კაცო	ის კაც-ებ-ი	ის კაც-ნი
ნათ.	იმ კაც-ის (ა)	იმ კაც-ებ-ის (ა)	იმ კაც-თ (ა)
მიც.	იმ კაც-ს (ა)	იმ კაც-ებ-ს (ა)	იმ კაც-თ (ა)
მოთ.	იმ კაც-მა (ნ)	იმ კაც-ებ-მა (ნ)	იმ კაც-თ (ა)
მოქ.	იმ კაც-ით (ა)	იმ კაც-ებ-ით (ა)	— —
გან.	იმ კაც-ად (ა)	იმ კაც-ებ-ად (ა)	— —
წოდ.	— —	— —	— —

ჩვენებითის ნაცვალ-სახელის კანკლედობა

მხოლოდ. ჩიცხვი		მრავლ. ჩიცხვი
სახ.	ეს, ესე, ეგ, ეგე, ავი	ესენი, ეგენი, აგენი
ნათ.	ამ-ის (ი)	ამა-თი
მიც.	ამ-ა-ს (ა) <i>ეშხ</i>	ამ-ათ
მოთ.	ამ-ან <i>ეშხ</i>	ამ-ათ
მოქ.	ამ-ით (ა) <i>ეშითა, ეშითი</i>	—
გან.	ამ-ად (ა)	—
წოდ.	—	—
სახ.	მაგი	მაგენი
ნათ.	მაგ-ის (ი)	მაგათი
მიც.	მაგ-ა-ს (ა)	მაგათ
მოთ.	მაგ-ან	მაგათ
მოქ.	მაგ-ით (ა)	—
გან.	მაგ-ად (ა)	—
წოდ.	—	—

1. ჩვენებითის ნაცვალ-სახელის ნათესაობით ბრუნვიდგან ამის, მაგის წარმოსდგება კუთვნილებითი ნაცვალ-სახელი ამისი, მაგისი, რომელნიც, იკანკლედებიან ზოგორც ჩემი, შენი და სხე.

უნიუნვა. როდესაც ზედშესრულ სახელიდან წარმოებული არსებითი სახელი შეუერთდება ჩვენებით ნაცვალსახელს, მაშინ ორივე ერთად შეერთებულნი გარდაიქცევიან ზედშესრულ სახელად,—მაგ. ამ-სიდიდე, იმ-სიდიდე და იბრუნვიან როგორც ზედშესრულნი სახელნი.

საზღვრებითი ნაცვალ-სახელის კანკლედობა

მხოლოდ. რიცხვი		მრავლ. რიცხვი
სახ.	უკელა	უკელა-ნი
ნათ.	უკელ-ა-ს (ი)	—
მიც.	უკელ-ა-ს (ა)	—
მათ.	უკელა-მ (ა-ნი)	—
მოქ.	—	—
გან.	—	—
წოდ.	უკელა-ვ	—

1. საზღვრებითი ნაცვალ-სახელი თვით, თვითონ არ იკანკლედება. უკელაფერი და თვითთოეული იკანკლედება როგორც ზედშესრული სახელი, მხოლოდ მრავლობით რიცხვის პირველი დაბოლოება არ აქვს.

არსებითის ნაცვალ-სახელის კანკლედობა

სას.	ვინ,	რა
ნათ.	ვის (ი),	რის (ა)
მიც.	ვის (ა)	რას (ა)
მათ.	ვინ,	რამ (ა-ნ)
მოქ.	—	რ-ით (ა)
გან.	—	რად (ა)
წოდ.	—	—

1. არსებითს ნაცვალ-სახელს მრავლობითი რიცხვი არა აქვს.

შენიშვნა. არსებითის ნაცვალ-სახელის ვინ ნათესაობით ბრუნვიდგან მიიღება დამოკიდებითი ნაცვალ-სახელი, — მაგ. ვისი, რომელიც იკანკლედება როგორც კუთვნილებითი ნაცვალ-სახელი იმისი ან მისი.

დამოკიდებითის ნაცვალ-სახელის კანკლედობა

დამოკიდებითი ნაცვალ-სახელი იკანკლედება როგორც კუთვნილებითი ნაცვალ-სახელი, მხოლოდ მრავლობითის რიცხვის პირველი დამოლოება არ აქვს.

ზანუსაზღვრებელ ნაცვალ-სახელის კანკლედობა
 1. ვინ-მე, 2. რამე, 3. რომელი-მე, 4. ვინღაც, 5. რაღაც.

მს. რიცხ.		შტაკვლობითი რიცხვი				
		პირვე. დაბოლოება	მეორე დაბოლო.	მეორე დაბოლო.		
სახ.	1. ვინ-მე	2. რა-მე	ვინ-მე-კე-ი	რა-მე-კე-ი	ვინ-მე-ნ-ი	რა-მე-ნ-ი
ნათ.	ვისი-მე	რის (ა) მე	ვინ-მე-კე-ის (ა)	რა-მე-კე-ის (ა)	ვინ-მე-თ(ა)	რა-მე-თ (ა)
მიც.	ვის-მე	რას (ა) მე	ვინ-მე-კე-ს (ა)	რა-მე-კე-ს (ა)	ვინ-მე-თ(ა)	რა-მე-თ (ა)
მთ.	ვინ-მე-მ(ან)	რა-მე-მ(ან)	ვინ-მე-კე-მა (ნ)	რა-მე-კე-მა (ნ)	ვინ-მე-თ(ა)	რა-მე-თ (ა)
მთ.	—	რით (ა) მე	ვინ-მე-კე-ით (ა)	რა-მე-კე-ით (ა)	—	—
ცანკ.	—	რად-მე	ვინ-მე-კე-ად (ა)	რა-მე-კე-ად (ა)	—	—
წოდ.	—	—	—	—	—	—

მს. რიცხ.		მრავლობათი რიცხვი	
		პირველ დაბოლო.	მეორე დაბ.
სახ.	1. წამყელი-მე	—	წამყელ-ნი-მე
ნათ.	წამელ-ის (ა)-მე	—	წამყელ-თ (ა)-მე
მიც.	წამელ-ს (ა)-მე	—	წამყელ-თ (ა)-მე
მოთ.	წამელ-მა (ნ)-მე	—	წამყელ-თ (ა)-მე
მოქ.	წამელ-ით (ა) მე	—	—
ცან.	წამელ-ად-მე	—	—
წოდ.	—	—	—

1. ბანუსაწლერებელი ნაცვალ-სახელი: ზოგა და უარ-ყოფითი ნაცვალ-სახელი არავეითარი იკანკლედებიან როგორც ზედშესრული სახელი, მხოლოდ არ აქვსთ მრავლობით რიცხვის პირველი დაბოლოება; უარ-ყოფითი ნაცვალ-სახელი: არაფერი იკანკლედება მხოლოდ მხოლოდობითს რიცხვში და არავეინ ბრუნვებში ჰგავს არსებითს ნაცვალ-სახელს ვინ, — მაგ. სახ. არავეინ; ნათ. არავეინ (ი); მიც. არავეის (ა); მოთხ. არავეინ.

მს. რიცხ.		მრავლობითი რიცხვი		
		მრავლობა	მეორე დაბლა	მეორე დაბლა
სახ.	4. კი (ნ) ღა წა 5. წა ღა წა (ს)	კი ღა წა-სი	კი ღა წა-სი (ს)	კი ღა წა-სი (ს)
ნათ.	კი ღა წა-სი	წა ღა წა-სი	წა ღა წა-სი (ს)	წა ღა წა-სი (ს)
მიც.	კი ღა წა-ს (ს)	წა ღა წა-ს (ს)	წა ღა წა-ს (ს)	წა ღა წა-ს (ს)
მით.	კი ღა წა-მ (სნ)	წა ღა წა-მ (სნ)	წა ღა წა-მ (სნ)	წა ღა წა-მ (სნ)
მეკ.	კი ღა წა-ით (ს)	წა ღა წა-ით (ს)	წა ღა წა-ით (ს)	წა ღა წა-ით (ს)
მანკ.	კი ღა წა-ად (ს)	წა ღა წა-ად (ს)	წა ღა წა-ად (ს)	წა ღა წა-ად (ს)
შედე.	—	—	—	—

კუთვნილებით ნაცვალ-სახელის და აწსებინ სახელის შექნება

	მხლ. რიცხვი		მრავლობითი რიცხვი	
	მრავლი	მცირე	მრავლობითი	მცირე
სახ.	ჩემი წერილი	ჩემი წერილები	ჩემი წერილები	ჩემი წერილები
ნათ.	ჩემის (ა) წერილის (ა)	ჩემის (ა) წერილების (ა)	ჩემის (ა) წერილების (ა)	ჩემის (ა) წერილის (ა)
მეტ.	ჩემს (ა) წერილს (ა)	ჩემს (ა) წერილებს (ა)	ჩემს (ა) წერილებს (ა)	ჩემს (ა) წერილს (ა)
მათ.	ჩემის (ნ) წერილის (ნ)	ჩემის (ნ) წერილების (ნ)	ჩემის (ნ) წერილების (ნ)	ჩემის (ნ) წერილის (ნ)
მსკ.	ჩემით (ა) წერილი (ა)	ჩემით (ა) წერილები (ა)	ჩემით (ა) წერილები (ა)	—
კან.	ჩემ წერილად (ა)	ჩემ წერილებად (ა)	ჩემ წერილებად (ა)	—
წოდ.	ჩემი წერილი	ჩემი წერილები	ჩემი წერილები	ჩემი წერილები

1. ქუთვნილებითნი ნაცვალ-სახელნი შეექსო-
 ვებიან არსებითს სახელს როგორც ზედშესრული
 სახელი ი-ს დაბოლოებით, მხოლოდ იმ განსხვავე-
 ვებით, რომ მეორე და მესამე პირს წოდებითი
 ბრუნვა არ აქვს.

ჩვენებით ნაცვალ-სახელის და არსებით სა- ხელის შექსოვა.

მხლ. რიცხვი		მრავლ. რიცხვი	
		პირვ. დაბოლ.	ძეორ. დაბ.
სახ.	ა. ეს, ესე, ეგი, ეგი აგი, კალამი	ეს, ესე, ეგი, ეგი აგი კალამ-ებ-ი	ეს, ესე, ეგი, ეგი აგი, კალამ-ნ-ი
ნათ.	ამ კალამ-ის (ა)	ამ კალამ-ებ-ის (ა)	ამ კალამ-თ (ა)
მიწ.	ამ კალამ-ს (ა)	ამ კალამ-ებ-ს (ა)	ამ კალამ-თ (ა)
ძოთ.	ამ კალამ-მა (ბ)	ამ კალამ-ებ-მა (ბ)	ამ კალამ-თ (ა)
ძოქ.	ამ კალამ-ით (ა)	ამ კალამ-ებ-ით (ა)	— —
გან.	ამ კალამ-ად (ა)	ამ კალამ-ებ-ად (ა)	— —
წოდ.	— —	— —	— —
სახ.	ბ. მაგი სახლი	მაგი სახ-ლებ-ი	მაგ სახლ-ნ-ი
ნათ.	მაგ სახლ-ის (ა)	მაგ სახლ-ებ-ის (ა)	მაგ სახლ-თ (ა)
მიწ.	მაგ სახლ-ს (ა)	მაგ სახლ-ებ-ს (ა)	მაგ სახლ-თ (ა)
ძოთ.	მაგ სახლ-მა (ბ)	მაგ სახლ-ებ-მა (ბ)	მაგ სახლ-თ (ა)
ძოქ.	მაგ სახლ-ით (ა)	მაგ სახლ-ებ-ით (ა)	— —
გან.	მაგ სახლ-ად (ა)	მაგ სახლ-ებ-ად (ა)	— —
წოდ.	— —	— —	— —

1. ჩვენებით ნაცვალ-სახელიდგან წარმოებულნი კუთვნილებითნი ნაცვალ-სახელნი ამისი, მაგისი, ამათი, მაგათი შეექსოვებიან არსებითს სახელს როგორც ზედშესრული სახელი ი-ს დაბოლოებით.

2. დამოკიდებითნი ნაცვალ-სახელნი რომელი, როგორი, ვისი შეექსოვებიან არსებითს სახელს როგორც ზედშესრული სახელი ი-ს დაბოლოებით.

3. საზღვრებითი ნაცვალ-სახელითვით, თვითონ, არსებით სახელთან შექსოვის დროს, უცვლელად რჩება ყველა ბრუნვებში და რიცხვში.

4. მანუსაზღვრებელნი ნაცვალ-სახელნი ვინმე, რამე, რომელიმე, ვინლაც, რაღაც და უარყოფითი ნაცვალ-სახელი არავინსე შეექსოვებიან არსებითს სახელს, როგორც საზღვრებითი ნაცვალ-სახელი თვით, თვითონ. მანუსაზღვრებელ ნაცვალ-სახელი ზოგი, და უარყოფითნი ნაცვალ-სახელნი არაფერი, არავითარი შეექსოვებიან არსებითს სახელს როგორც ზედშესრული სახელი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მრავლობით რიცხვის პირველი დაბოლოება არ აქვს.

შენიშნვა. პიროვან-ნაცვალ-სახელს და არსებითს ნაცვალ-სახელს არსებით სახელის ხასიათი აქვს და დანარჩენი ნაცვალ-სახელი კი ზედშესრულ სახელის ხასიათი.

ნაცვალ-სახელი ქვემდებარედ

ის ჰსწერს წერილს.

იმას ჰღვიძავს.

მან ჰსწერა.

შველა უსწავლელობას ემღურვის.

1. ნაცვალ-სახელი შეიძლება იყოს ქვემდებარედ სხვა და სხვა დროს სახელობით ბრუნვაში, მიცემითს ბრუნვაში და მოთხრობითს ბრუნვაში.

რიცხვითი სახელი

წიქვილს საფქვაფი წაფილე, აფკიდე სამსა კატასა;

მრთსა ვკარ, ფეხი მოვსტეხე, მეორე დადგა ძალასა;

მემუქრებოდა მესამე: კიდეც დასთესავ ყანასა.

ასი სული ცხვარი დაჰკლა და ორასი ნიშახარი

ნახევარი ცხოვრების გავლიე.

1. რიცხვითი სახელი არის ისეთი ცვალებადი სიტყვის ნაწილი, რომელიც გვიჩვენებს საგნის რიცხვს, ან ნაწილს, ან წესს.

რიცხვითნი სახელნი არიან: ა. რავდენობითი რიცხვითი სახელი, ბ. წესებითი რიცხვითი სახელი და გ. დანაწევრებითი რიცხვითი სახელი.

ა. რავდენობითი რიცხვითი სახელი გვიჩვენებს, თუ რამდენია საგანი,—მაგ. ორი, ოთხი, ექვსი, ათი და სხვ.

ბ. წესებითი რიცხვითი სახელი გვიჩვენებს თუ, რა რიგს მიჰყვება საგანი,—მაგ. პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და სხვ.

გ. დანაწევრებითი რიცხვითი სახელი გვიჩვენებს ერთეულის ნაწილს,—მაგ. ნახევარი, მესამედი, მეხუთედი და სხვ.

მხედობითი რიცხვი

სახ.	ერთი, მეორე, ნახევარი
ნათ.	ერთ-ის (ა), მეორ-ის (ა), ნახევრ-ის (ა)
მიც.	ერთ-ს (ა), მეორე-ს (ა), ნახევარ-ს (ა)
ძოთ.	ერთ-ძა (ნ), მეორე-ძ (ან), ნახევარ-ძა (ნ)
ძოქ.	ერთ-ით (ა), მეორ-ით (ა), ნახევარ-ით (ა)
გან.	ერთ-ად (ა), მეორე-დ (ა), ნახევარ-ად (ა)
წოდ.	— — —

1. ჩავდენობითი რიცხვითი სახელი, წესებითი რიცხვითი სახელი და დანაწევრებითი რიცხვითი სახელი იკანკლედება ისე, როგორც არსებითი სახელი. მრავლობითს რიცხვში აქვსთ მხოლოდ მეორე დაბოლოება.

შენი შნკა. წესებითი რიცხვითი სახელი მიიღებს ჩავდენობით რიცხვითის სახელისგან შემდეგის რიგით: ბოლო მოკვეცილს ჩავდენობითს რიცხვითს სახელს თავში მიემატება მე და ბოლოში ე,—მაგ. მე-ოთხ-ე, მე-ხუთ-ე და სსკ.

ამ კანონს არ ემორჩილება წესებითი რიცხვითი სახელი შირველი.

დანაწევრებითი რიცხვითი სახელი შეგვიძლია მივიღოთ ჩავდენობით რიცხვითის სახელისგან ამ გვარად: თავში მიემატება ბოლო მოკვეცილ სიტყვას მე და ბოლოში ედი,—მაგ. მე-სამ-ედი, მე-ოთხ-ედი, მე-ას-ედი.

ამ კანონს არ ემორჩილება დანაწევრებითი რიცხვითი სახელი ნახევარი.

რთულ რავდენობით რიცხვითის სახელის
კანკლეობა

მხოლ. რიცხ.		მრავლობ. რიცხ.
		მეორე დაბ.
სახ.	რც და ხუთ-ი	რც და ხუთ-ნ-ი
ნათ.	რც და ხუთ-ის (ა)	რც და ხუთ-თ (ა)
მიც.	რც და ხუთ-ხ (ა)	რც და ხუთ-თ (ა)
მართ.	რც და ხუთ-მა (ნ)	რც და ხუთ-თ (ა)
მოქ.	რც და ხუთ-ით (ა)	— —
გან.	რც და ხუთ-ად (ა)	— —
წოდ.	— —	— —

1. რთულ რავდენობით რიცხვით სახელში იკანკლედება მხოლოდ უკანასკნელი რიცხვი; დანარჩენს მოეკვეცება დაბოლოება ი, მის ნაცვლად მიემატება კავშირი და და ამ სახეობით რჩება ყველა ბრუნვებში უცვლელად.

რთულ წესებით რიცხვით სახელში იკანკლე-
დება მხოლოდ უკანასკნელი რიცხვი, დანარჩენი კი
რავდენობით რიცხვით სახელში გარდადის, მაგრამ
იმ სახით, რომ მოიკვეცს დაბოლოებას, მის მაგი-
ერად მიიღებს კავშირს და ისე რჩება ყველა ბრუნ-
ვებში უცვლელად.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა . ა . თუ წაკდენობით რიცხვით სახელში,
არსებით სახელთან შექსოვის დროს, არის ათასეული,
და ათეული, — წყვილი იქნება, თუ კენტი ერთეულებით,
მაშინ იკანკლდება მხოლოდ უკანასკნელი რიცხვი. ასე-
რად და ათასეულს მოეკვეცება დაბოლოება და ისე
რჩება ყველა ბრუნვებში უცვლელად, — მაგ. სახ: ათას
ას საშობადა თვრამეტი კალამი; ნ ა თ . ათას ას სა-
შობადა თვრამეტის (ა) კალამის (ა) და სხვ.

ბ. წესებითი რიცხვითი სახელი შეექსოვება
არსებითს სახელს ისე, როგორც ზედშესრულოთ სა-
ხელი მ-ს დაბოლოებით არსებითს სახელს, — მაგ.
სახ. ათას რვაას ოთხმოცდა მერვე წელი; ნ ა თ :
ათას რვაას ოთხმოცდა მერვე წლის (ა) და სხვ.

რიცხვითი სახელი ქვემოთაა.

ერთი სცხონდა, მეორე წარსწყმდა.

ერთს სძუღს ჭეშმარიტება, მეორეს უეკარს.

შირველმა უარსი განაცხადა მეშობაზედ.

1. რიცხვითი სახელი სხვა და სხვა დროს შეი-

ძლება იყოს ქვემდებარედ სახელობით ბრუნ-
ვაში, მიცემითს ბრუნვაში და მოთხრო-
ბითს ბრუნვაში.

2. რიცხვითი სახელი მიუგებს შემდეგს კით-
ხვებზედ: რამდენი? რომელი?

3. რიცხვით სახელს ზედშესრულ სახელის ხა-
სიათი აქვს.

უენიუნვა. რიცხვით სახელისგან მიიღება არსებითი
სახელი ამგვარად: მოეგვეცება რიცხვით სახელს დაბოლოება და
მის ნაცვლად: მიემატება ობა, ან ება ან და პირდაპირ მიიმა-
ტებს დაბოლოებას ობა, — მაგ. ერთ-ობა, სამ-ება, შეოთხე-

*შენი უნვა: ზეცხვითი სახელი დაბოლოება და
მის ნაცვლად: მიემატება ობა, ან ება ან და პირდაპირ მიიმატებს დაბოლოებას ობა, — მაგ. ერთ-ობა, სამ-ება, შეოთხე-*

*შენი უნვა: ზეცხვითი სახელი დაბოლოება და
მის ნაცვლად: მიემატება ობა, ან ება ან და პირდაპირ მიიმატებს დაბოლოებას ობა, — მაგ. ერთ-ობა, სამ-ება, შეოთხე-*

1. ზმნა არის ისეთი ცვალებადი სიტყვის ნა-
წილი, რომელიც გვიჩვენებს საგნის მოქმედებას ან
საგნის მდგომარეობას.

2. ზმნას აქვს სამი პირი: პირველი, მეორე
და მესამე.

3. ზმნას აქვს ორი რიცხვი: მხოლოდობითი
და მრავლობითი.

ზმნების კვარი

ქართულს ენაზედ არის სამის ვგარის ზმნა:

ა. მოქმედებითი ზმნა.

ბ. ვნებითი ზმნა.

გ. უმეშვეობითი ზმნა.

მოქმედებითი ზმნა გვიჩვენებს ქვემდებარის მოქმედებას და მის გავლენას სხვა საგანზედ, მაგ. მე ვსჯი კალამს, მე ვსწერ წერილს, მე გამოვსჯი კალამი, მე დავსწერე წერილი. ვნებითი ზმნა უჩვენებს, რომ თვითონ ქვემდებარე კი არ მოქმედობს, არამედ იგი იმყოფება სხვის მოქმედების გავლენის ქვეშ, — მაგ. მე ვიტანჯები მტრისგან (ესე იგი მე მტანჯავს მტერი).

უმეშვეობითი ზმნა წარმოსდგება მოქმედებით ზმნიდან ამგვარად: ბოლო მოკვეცილს ზმნას თავში მიემატება ვი და ბოლოში ები, — მაგ. ვიწერები.

უმეშვეობითი ზმნა უჩვენებს, თუ რა მდგომარეობაშია ქვემდებარე, — მაგ. მე მძინავს, მე მღვიძავს.

ზმნების სახე

ა. მე ვსჯი წერილს, მე ვაკეთებ სახლს.

ბ. მე ვაწერ-ინებ მოსწავლეებს გაკეთილს, მე გიგოს სახლს გაკეთებ-ინებ.

გ. მე ვაწერ-ინებინებ წერილს გიგოს, მე ვაკეთებ-ინებინებ სახლს გიგოს.

1. ქართულს ზმნას აქვს სამი სახე:

ა. პირველ-სახე, ბ. სხმით-გარდასვლითი, გ. მრჩობლ-სხმით-გარდასვლითი.

ა. პირველ-სახე უჩვენებს მოქმედებას ან მდგომარეობას პირდაპირ, — მაგ. მე ვაშენებ სახლს, მე მღვიძავს, მე ვწსერ წერილს.

ბ. სხმით-გარდასვლითი უჩვენებს მოქმედების წარმოებას მეორე პირისგან, რომელსაც ბრძანებლობს ქვემდებარე, — მაგ. მე ვათამაშებინებ ლევანს ბოვშს (ესე იგი ჩემის ბრძანებით ლევანი ბოვშს ათამაშებს).

გ. მრჩობლ-სხმით-გარდასვლითი უჩვენებს მოქმედების წარმოებას მესამე პირისგან მეორე პირის გავლენის გამო, რომელსაც ბრძანებლობს ქვემდებარე, — მაგ. მე ვაწერ-ინებინებ წერილს სოსიკოს, რომელსაც გარდასცემს ჩემს ბრძანებას შალვა.

შენიშნვა ა. სხმით-გარდასვლითი სახე წარმოსდგება ამ გვარად: ზმნას მოეკვეცება დაბოლოება, მის მაგივრად თავში მიემატება ვა და ბოლოში ინებ, — მაგ. ვა-წერ-ინებ.

ბ. მრჩობლ-სხმიო-გარდასვლითი წარმოსდგება ამგვარად:
ზმნას მოეკვეცება დაბოლოება, მის მაგივრად თავში მიემატება
ვა და ბოლოში ი ნ ე ბ ი ნ ე ბ, — მაგ. მე ვა-წერ-ი ნ ე ბ ი ნ ე ბ.

მე ვსწერ-ე მე ვაშენ-ე, მე ვაკეთ-ე.

მე და-ვსწერ-ე, მე ა-ვაშენ-ე, მე გა-ვაკეთ-ე.

1. ზმნა არის უსრული და სრული.

უსრული ზმნა გამოხატავს მოქმედებას შე-
უსრულებლად — მაგ. მე ვიკითხე, მე ვაშენე
სრული ზმნა უჩვენებს შესრულებულს მოქმედე-
ბას, ან რომ უთუოდ შესრულდება, — მაგ. მე და-
ვსწერ-ე, მე ა-ვაშენ-ე, მე დავსწერ, მე
ა-ვაშენებ.

დ რ ო ნ ი

ღმერთი არის.

ღმერთი იყო.

ღმერთი იქნება.

1. ზმნას აქვს სამი დრო: ა. აწმყო, ბ. ნამ-
ყო და გ. მყობადი.

ა. აწმყო უჩვენებს მოქმედებას, რომელიც
ებლა მიმდინარეობს, — მე ვსჯრიხეს.

ბ. ნამყო უჩვენებს მოქმედებას, რომელიც განვიწყობა, — მაგ. მე ვსწერდი, ვსწერე, დავსწერე.

გ. მყობადი უჩვენებს მოქმედებას, რომელიც უნდა მოხდეს, — მაგ. მე დავსწერ, ვითამაშებ.

ნ ა მ ე ო

ნამყო უსრული: მე ვსწერ-დი

ნამყო სრული: მე ვსწერ-ე და-ვსწერ-ე.

წამყო უსრულესი: მე მი-წერ-ია და-მი-წერ-ია

1. ნამყო არის ქართულს ენაზედ სამგვარი:

ა. ნამყო უსრული, ბ. ნამყო სრული და

გ. ნამყო უსრულესი.

ა. ნამყო უსრული უჩვენებს მას, რომ მოქმედება დაწყებულია, მაგრამ შეწყვეტილა, — მაგ. მე ვსწერ-დი წერილს.

ბ. ნამყო სრული უჩვენებს მოქმედებას შესრულებულად, — მაგ. მე ვითამაშე, გავაკეთე, ავაშენე.

გ. ნამყო უსრულესი უჩვენებს მოქმედებას, რომელიც დიდი ხანია, რაც დაწყებულია და განმეორებულია კიდევ, — მაგ. ვითამაშ(ნ)-ია, მიშენებ-ია, დამიწერ-ია.

შენიშნება. ა. უსრულ ფმნას აქვს აწმყო, ნამყო უსრული და ნამყო უსრულესი.

ბ. სრულს ზმნას აქვს ნამყო სრული, ნამყო-
ესრულესი და მყობადი.

ზმნების დახრა

